TRANSLATION COURTESY OF ECMI, Flensburg, Germany

სტრასბურგი, 2008 წლის 5 მაისი

ACFC/31DOC(2008)001

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციასთან დაკავშირებული საკონსულტაციო კომიტეტი

კომენტარი

ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობის შესახებ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და საზოგადოებრივ საქმეებში

მიღებულია 2008 წლის 27 თებერვალს

სარჩევი

წინასიტყვაობა 4
მონაწილეობა ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში 4
მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში 7
მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში 7
ნაწილი I შესავალი 11
ნაწილი II შესავალი შენიშვნები 13
1. საერთაშორისო სტანდარტები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისთვის: ჩარჩო კონვენცია და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები 13
2. ძირითადი მოსაზრებები ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლთან დაკავშირებით 14
ა) ეფექტური მონაწილეობა, სრული და ეფექტური თანასწორობა და ეროვნულ უმცირესობათა თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა 15
ბ) ეფექტური მონაწილეობა „იმ საკითხებში, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეხება“ 16
გ) მონაწილეობის „ეფექტურობა“ 16
დ) ეროვნული უმცირესობების ეფექტური მონაწილეობა და კულტურათაშორისი დიალოგი 17
ნაწილი III. ძირითადი დასკვნები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის შესახებ 18
1) მონაწილეობა ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში 18
ა) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესახებ სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა 19
ბ) სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონმდებლობა 20
გ) სახელმწიფო სამსახურების უნარი, დააკმაყოფილონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები 21
დ) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ღარიბ რეგიონებში 22
ე) სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში რთულ პირობებში მყოფი ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა მონაწილეობა 23
ვ) მიწისა და ქონების ხელმისაწვდომობა, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პირობა 24
ზ) საცხოვრებელი ადგილი, ენა და სხვა მოთხოვნები, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პირობა 25
თ) საცხოვრებელი პირობების სტანდარტები და მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში 26

ი) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა 27
2) მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში 28
3) მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში 29
ა) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესებში 31
i. პოლიტიკური პარტიები 31
ii. საარჩევნო სისტემების შემუშავება სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე 32
iii. ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო საზღვრები 34
iv. რეზერვირებული ადგილების სისტემა 34
v. საპარლამენტო პრაქტიკა 35
vi. „ვეტოს“ უფლებები 36
vii. მოქალაქეობასთან დაკავშირებული მოთხოვნები 36
viii. ენის ცოდნის მოთხოვნა 37
ბ) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა სპეციალიზებული სამთავრობო ორგანოების საშუალებით 37
გ) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა საკონსულტაციო მექანიზმების საშუალებით 38
i. საკონსულტაციო მექანიზმების შექმნა 38
ii. საკონსულტაციო მექანიზმების წარმომადგენლობა 39
iii. საკონსულტაციო მექანიზმების ტიპები 40
iv. საკონსულტაციო ორგანოების როლი და ფუნქციონირება 40
დ) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების წარმომადგენლობა და მონაწილეობა სახელმწიფო ადმინისტრაციის, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში 41
ე) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა მმართველობის ქვეეროვნული ფორმების საშუალებით 43
ვ) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა ავტონომიის პირობებით 44
ზ) ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საქმიანობისთვის 45
თ) მედია, როგორც ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების საზოგადოებრივ საქმეებში ეფექტური მონაწილეობის წყარო 46
ი) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა ჩარჩო კონვენციის მონიტორინგში 47
ნაწილი IV. დასკვნები 49
დანართი ჩარჩო კონვენციის სხვა მუხლების მნიშვნელობა მე-15 მუხლის ინტერპრეტაციისათვის 51

წინასიტყვაობა

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი ითვალისწინებს, რომ მხარეები „შექმნიან აუცილებელ პირობებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რომლებიც კერძოდ მათ ეხებათ“.

წინამდებარე კომენტარის მიზანია, ჩამოაყალიბოს საკონსულტაციო კომიტეტის განმარტება ჩარჩო კონვენციის დებულებებისა, რომლებიც ეხება ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტურ მონაწილეობას, საკონსულტაციო კომიტეტის მიერ 1999-2007 წლებში სხვადასხვა ქვეყნისთვის მომზადებულ დასკვნებზე დაყრდნობით. კომენტარი მიზნად ისახავს, უზრუნველყოს სასარგებლო ინსტრუმენტი სახელმწიფოთა ხელისუფლების ორგანოებისა და გადაწყვეტილებათა მიმღები პირებისათვის, საჯარო მოხელეთათვის, უმცირესობათა ორგანიზაციებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, სამეცნიერო წრეებისა და უმცირესობათა დაცვაში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

მართალია, კომენტარი ყურადღებას ამახვილებს მონაწილეობის მექანიზმებზე თავად ქვეყნებში, მაგრამ დაბალანსებული და ხარისხიანი შედეგის მისაღებად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო დოკუმენტების, კერძოდ კი ჩარჩო კონვენციის მონიტორინგისა და განხორციელების პროცესის ყველა ეტაპზე.

მონაწილეობა ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში

ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობა ეხება მათ სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებას და, ასევე, მათ ჩართულობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროებში.

ეფექტური მონაწილეობა მოითხოვს სახელმწიფოებისაგან არა მარტო იმ ბარიერების მოხსნას, რომლებიც ხელს უშლის უმცირესობებისთვის ეკონომიკური სექტორებისა და სოციალური მომსახურებების სხვებთან თანასწორ მისაწვდომობას, რაც მიზნად ისახავს თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებას, არამედ ასევე მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, რომ მათ ხელი შეუწყონ უმცირესობათა მონაწილეობას სარგებლისა და შედეგების მიღებაში.

სოციალურ-ეკონომიკური დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და რეალური თანასწორობის მისაღწევად ქმედითი ზომების გატარების უმთავრესი წინაპირობაა სარწმუნო და ადვილად მისაწვდომი მონაცემების არსებობა. ამიტომ წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა შეაგროვონ უახლესი მონაცემები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სოციალურ-ეკონომიკური და განათლების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ, რათა შეადარონ მოსახლეობის უმრავლესობაში

არსებულ სიტუაციას. აღნიშნული მონაცემები პირადი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უნდა შეგროვდეს.

სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობისათვის საჭიროა იმგვარი ყოვლისმომცველი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც აკრძალავს დისკრიმინაციას საჯარო და კერძო მხარეების მხრიდან ეთნიკური ნიშნით. ეს კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს დასაქმებას, საცხოვრებელს, ჯანმრთელობის დაცვას და სოციალურ დაცვას. ასევე მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის შემთხვევებში სამართლებრივი დაცვის შესატყვისი საშუალებების არსებობა და საგანგებო ყურადღების მიპყრობა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ქალების მიმართ მრავალი სახის დისკრიმინაციისათვის.

ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობას სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ზოგჯერ ხელს უშლის ადმინისტრაციული დაბრკოლებები, ასევე შესაბამის დაწესებულებებში მათი კულტურული მახასიათებლებისა და სპეციფიკური საჭიროებებისადმი გულისყურიანი დამოკიდებულების არარსებობა. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ტრენინგის პროგრამები საჯარო სამსახურების მოხელეთათვის, რათა მისცენ მათ შესაძლებლობა, ადეკვატური რეაგირება მოახდინონ ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებებზე.

ინფორმაცია საჯარო მომსახურებისა და სოციალური დაცვის დაწესებულებების შესახებ ადვილად მისაწვდომი უნდა იყოს და, როდესაც ეს შესაძლებელია, ეროვნულ უმცირესობათა ენებზე უნდა არსებობდეს. საჯარო დაწესებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სამსახურში აყვანას.

ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები, რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით არახელსაყრელ რეგიონებში (მაგალითად, სოფლად, იზოლირებულ და სასაზღვრო ტერიტორიებზე, ომის შედეგად ან დეინდუსტრიალიზაციით დაზარალებულ რეგიონებში) ცხოვრობენ, უნდა გახდნენ ისეთი კონკრეტული ზომების სამიზნეები, რომლებიც მისცემს მათ სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობას. საჭიროების შემთხვევებში შესაძლებელია ამგვარი ზომების გატარების ხელშეწყობა ორმხრივი და საზღვრისპირა თანამშრომლობის მეშვეობით.

გარდა ამისა, ხშირად საჭიროა კონკრეტული სოციალური და ეკონომიკური ზომების განხორციელება არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ უმცირესობათა ჯგუფებისადმი კუთვნილი პირებისათვის, რათა მათთვის უზრუნველყოფილი იყოს რეალური თანასწორობა.

სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ბოშების ქმედითი ინტეგრაციის ხელშესაწყობად უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი სტრატეგიები. უნდა მოხდეს ამ სტრატეგიათა განხორციელების მონიტორინგი, ხოლო შედეგები დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა შეფასდეს.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან ისეთი ბარიერები და მარეგულირებელი წესები, რომლებიც ხელს უშლის გარკვეულ უმცირესობათა ჯგუფებისთვის დამახასიათებელ და საფრთხის ქვეშ მდგომ ეკონომიკურ პრაქტიკას.

ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისთვის პრივატიზაციის პროცესებში სრული და რეალური თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ხელისუფლების ორგანოებმა არა მარტო გამჭვირვალობა უნდა უზრუნველყონ, არამედ უნდა შემოიღონ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ პერიოდში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების საჩივრები ქონებასთან დაკავშირებით ქმედითი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული სახით დამუშავდეს და დაკმაყოფილდეს.

აუცილებელია საგანგებო და ქმედითი დაცვა იმ მიწებისა, რომელსაც ტრადიციულად იყენებენ გაკვეული ჯგუფებისადმი, როგორიც არის, მაგალითად, მკვიდრი მოსახლეობა, კუთვნილი პირები. ამ ჯგუფების წარმომადგენლები აქტიურად უნდა იქნენ ჩართულნი ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც ეხება მათი ცხოვრების ტრადიციულ ადგილას მიწაზე უფლებებსა და მიწით სარგებლობას.

შრომის ბაზრის, ძირითადი სოციალური შეღავათებისა და საჯარო მომსახურების მისაწვდომობა არ უნდა შეიზღუდოს საცხოვრებლის ან ენობრივი მოთხოვნების გამო, რაც განსაკუთრებით აზარალებს ხოლმე ზოგიერთი ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს. ამავე დროს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საცხოვრებლის რეგისტრაციის პროცესები ადვილად ხელმისაწვდომი იყოს და არ ხდებოდეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაცია და რომ რეგულარულად წარმოებდეს ამ პროცესების მონიტორინგი.

საცხოვრებლით უზრუნველყოფის სექტორში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ენერგიული ზომები, რათა ბოლო მოუღონ დისკრიმინაციულ პრაქტიკას, რომელიც იწვევს გარკვეული ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სეგრეგაციას და მარგინალიზაციას. გარდა ამისა, მათ უნდა შეიმუშაონ ყოვლისმომცველი სექტორული პოლიტიკა სტანდარტების შეუსაბამო საცხოვრებლისა და ძირითადი ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობით გამოწვეული პრობლემების – რაც განსაკუთრებით აზარალებს ხოლმე ზოგიერთი ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს – გამოსასწორებლად.

ჯანდაცვის სექტორში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ქმედითი ჩართვა იმ ზომების შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში, რომლებიც ტარდება ჯანდაცვის საკითხების მოსაგვარებლად, რათა მოხდეს უკეთესი რეაგირება მათ საგანგებო საჭიროებებზე. ჯანდაცვის სამსახურებში მომუშავე სამედიცინო და ადმინისტრაციულ პერსონალს უნდა ჩაუტარდეს სათანადო ტრენინგი და ხელი უნდა შეეწყოს ჯანდაცვის სფეროში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი შუამავლების სამუშაოდ აყვანას.

გარდა ამისა, პოლიტიკა, რომელიც თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებას ითვალისწინებს, არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ჯანდაცვის მისაწვდომობით. ამ პოლიტიკამ მიზნად უნდა დაისახოს ხარისხიანი მომსახურების მიწოდება ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის ისევე, როგორც დანარჩენი მოსახლეობისათვის.

მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში

კულტურის სფეროში პოლიტიკის შემუშავებისას და განხორციელებისას, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებზე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ხელისუფლების ორგანოებმა სათანადო კონსულტაციები გაიარონ ამ ეროვნულ უმცირესობებთან და ჩართონ ისინი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათი საჭიროებების ეფექტურად დაკმაყოფილების მიზნით. ეს ასევე ეხება უმცირესობათა კულტურებისათვის სახელმწიფო დახმარების გამოყოფას.

დეცენტრალიზაციის პროცესს და კულტურული ავტონომიებისთვის უფლებამოსილებათა დელეგირებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ეროვნული უმცირესობებისთვის შესაძლებლობის მიცემაში, ქმედითი მონაწილეობა მიიღონ კულტურულ ცხოვრებაში.

მედია უმთავრეს როლს ასრულებს კულტურულ ცხოვრებაში; ამის გათვალისწინებით ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დააარსონ და გამოიყენონ საკუთარი მედია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ისინი წარმოდგენილნი იქნენ ცენტრალურ მედიაში, რათა გააცნონ საინტერესო საკითხებზე საკუთარი შეხედულებები ფართო საზოგადოებას.

მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში

ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები საზოგადოებრივ საქმეებში რიგი საშუალებებით შეიძლება იქნენ ჩართულნი, როგორიც არის, მაგალითად, წარმომადგენლობა არჩევით ორგანოებში და სახელმწიფო ადმინისტრაციაში ნებისმიერ დონეზე, საკონსულტაციო მექანიზმები ან კულტურული ავტონომიისკენ მიმართული ზომები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყროს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებულ წარმომადგენლობას.

მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობათა წარმომადგენლობა არჩევით ორგანოებში შეიძლება მიღწეული იქნეს რაიმე საგანგებო პოლიტიკური პარტიების შექმნის გარდა სხვა საშუალებებითაც, კანონმდებლობამ, რომელიც კრძალავს ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე პოლიტიკურ პარტიათა ჩამოყალიბებას, შეიძლება მიგვიყვანოს გაერთიანებათა შექმნის თავისუფლების შეზღუდვამდე. ნებისმიერი შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმათა პრინციპებს. მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს ან იცავენ

მათ ინტერესებს, უნდა ჰქონდეთ ადეკვატური შესაძლებლობები არჩევნების პერიოდში კამპანიების საწარმოებლად.

სათანადო კონსულტაციების ჩატარების შემდეგ კონსტიტუციით გათვალისწინებულ გარანტიებთან ერთად უნდა მოხდეს კანონმდებლობის ქმედითი განხორციელება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების რეალური მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, თუ რა ზომების გატარება გადაწყდება, მიზანშეწონილია პერიოდული შემოწმების ჩატარება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ ზომების მიერ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე სათანადო რეაგირება.

აუცილებელია, რომ მხარი დაეჭიროს იმ ზომებს, რომლებიც ითვალისწინებს არჩევით ორგანოებში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა წარმომადგენლობის ხელშეწყობას. არჩევით ორგანოებში მათი მონაწილეობის გაზრდისთვის ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლო აღმოჩნდა გამონაკლისები საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან, რეზერვირებული ადგილები თუ ვეტოს უფლება. მაგრამ ამგვარი ზომების მხოლოდ შემოღება ავტომატურად არ ანიჭებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს რეალურ და მნიშვნელოვან ზემოქმედებას გადაწყვეტილებათა მიღებაზე. გარკვეულ გარემოებებში „ვეტოს“ ან „კვაზი-ვეტოს“ უფლებათა სისტემას სახელმწიფო ინსტიტუტების პარალიზებაც კი შეუძლია. ასეთ შემთხვევებში უნდა განისაზღვროს ალტერნატიული საშუალებები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისთვის გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობის მისაცემად.

ისეთი საპარლამენტო კომიტეტების შემოღებამ, რომლებიც მეთვალყურეობას უწევენ უმცირესობათა საკითხებს, შეიძლება ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა პრობლემებისთვის პარლამენტის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილის მინიჭებას. თუმცა ამ პრობლემებზე სხვა საპარლამენტო კომიტეტებშიც უნდა გამახვილდეს ყურადღება.

უმცირესობათა მონაწილეობაზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია იმას, თუ როგორ არის განსაზღვრული ელექტორატი ან ადმინისტრაციული საზღვრები. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ცვლილებებმა ელექტორატში არ შეამციროს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა არჩევის შესაძლებლობები.

მოქალაქეობა მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელსაც შეუძლია ზემოქმედების მოხდენა საზოგადოებრივ საქმეებში უმცირესობათა მონაწილეობაზე. მართალია, კანონიერია გარკვეული შეზღუდვების დაწესება არამოქალაქეების უფლებაზე, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და თავად იქნენ არჩეულნი, მაგრამ ეს შეზღუდვები არ უნდა იქნეს იმაზე უფრო ფართოდ გამოყენებული, ვიდრე აუცილებელია. სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, მისცენ არამოქალაქეებს შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და საკუთარი თავიც წამოაყენონ კანდიდატებად ადგილობრივ არჩევნებში. ენის ცოდნასთან დაკავშირებით საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის წაყენებული მოთხოვნები არ შეესატყვისება ჩარჩო კონვენციის მე-

15 მუხლს, ვინაიდან ისინი უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ საქმეებში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა ეფექტურ მონაწილეობაზე.

ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისთვის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის მიცემის კიდევ ერთი გზაა საკონსულტაციო მექანიზმების დანერგვა. თუმცა ისევე, როგორც მხოლოდ არჩევით ორგანოებში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა წარმომადგენლობა შეიძლება არ იყოს საკმარისი გადაწყვეტილებათა მიღებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოსახდენად, მხოლოდ კონსულტაციები არ წარმოადგენს საკმარის მექანიზმს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ეროვნული გარემოებების მხედველობაში მიღების საჭიროების გათვალისწინებით სახელმწიფოებს უნდა მოვუწოდოთ, რომ შეიმუშაონ სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობას, ისე მათთან კონსულტაციების ჩატარებას.

საკონსულტაციო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული სამართლებრივი სტატუსი და მათთან კონსულტაციის გავლის ვალდებულება კანონში უნდა იქნეს შეტანილი. გარდა ამისა, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში მონაწილეობას რეგულარული და მუდმივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საკონსულტაციო ორგანოები იყოს ინკლუზიური და წარმომადგენლობითი. დანიშვნის პროცედურები გამჭვირვალე უნდა იყოს და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან საფუძვლიანი კონსულტაციების საფუძველზე უნდა შემუშავდეს. პერიოდულად უნდა მოხდეს ამ პროცედურების გადასინჯვა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ აღნიშნული ორგანოები წარმოადგენდეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა განსხვავებულ შეხედულებებს. საკონსულტაციო ორგანოები ასევე რეგულარულად უნდა აგვარებდნენ შედარებით მცირერიცხოვანი უმცირესობებისა და ტრადიციული ან მნიშვნელოვანი რაოდენობის უმცირესობობებით დასახლებული ტერიტორიების გარეთ მცხოვრები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების პრობლემებს.

საჯარო ადმინისტრაციული ორგანოები, სასამართლოები, სამართალდამცავი და აღმასრულებელი ორგანოები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა ასახავდნენ საზოგადოების მრავალფეროვნებას. ამიტომ ხელი უნდა შეეწყოს საჯარო სექტორში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სამუშაოდ აყვანას. თუმცა უნდა ვერიდოთ ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც ისწრაფის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობას შორის მკაცრი, მათემატიკურად ზუსტი თანასწორობის მიღწევისაკენ. საჯარო ადმინისტრაციული ორგანოების პერსონალისთვის დაწესებული სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებული მოთხოვნები არ უნდა აღემატებოდეს განსახილველი თანამდებობის ან სამსახურებისთვის აუცილებელს. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ბოშებს და შედარებით მცირერიცხოვან უმცირესობებს, რომლებიც ხშირად ძალზე არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი ადმინისტრაციულ ოგანოებში.

სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, ჩამოაყალიბონ სამთავრობო სტრუქტურები ეროვნული უმცირესობების საკითხებზე სამუშაოდ. ამ სტრუქტურების ფუნქცია უნდა იყოს

უმცირესობათა დაცვის სფეროში სამთავრობო პოლიტიკის თაობაზე წინადადების წამოყენება და ამ პოლიტიკის კოორდინირება. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კოორდინაციას აღნიშნულ სტრუქტურებს და უმცირესობათა საკონსულტაციო მექანიზმებსა და სხვა სამთავრობო სტრუქტურებს შორის. ეს ზომები ხელს შეუწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ მთავრობის პოლიტიკაში პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭოს უმცირესობათა პრობლემებს.

სახელმწიფოს კონსტიტუციურ მოდელს გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტურ მონაწილეობაზე. ეროვნული გარემოებების მხედველობაში მიღების საჭიროების გათვალისწინებით, ხელისუფლების ქვეეროვნული ფორმები და უმცირესობათა ავტონომიური თვითმმართველობები შეიძლება ფასეული ინსტრუმენტები გამოდგეს საზოგადოების ცხოვრების მრავალ სფეროში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობის ხელშესაწყობად. მიუხედავად სახელმწიფოს კონსტიტუციური მოდელისა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ბაზებით გათვალისწინებული საკუთარი პასუხისმგებლობა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მიმართ.

უნდა გამოიყოს ადეკვატური ადამიანური და ფინანსური რესურსები, რათა უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე ორგანოებს მიეცეთ მათი სამუშაოს ეფექტურად შესრულების შესაძლებლობა.

არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც ცენტრალური, ისე უმცირესობათა მედიის მეშვეობით საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებას ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზე. ამიტომ მნიშვნელოვანია მედიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ორგანოში, როგორებიც არის სამეთვალყურეო საბჭოები და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები, საჯარო სამსახურის სამაუწყებლო კომიტეტები და აუდიტორთა საბჭოები, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა ადეკვატური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ნაწილი I შესავალი

1. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტურ მონაწილეობას არსებითი მნიშვნელობა აქვს სოციალური ინტეგრაციისა და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის უზრუნველყოფისათვის. ამიტომ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის[1] (შემდგომში „ჩარჩო კონვენცია“) მე-15 მუხლი ითვალისწინებს, რომ წევრი სახელმწიფოები „შექმნიან აუცილებელ პირობებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რომლებიც კერძოდ მათ ეხებათ“.

2. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების დაცვისთვის მათი ეფექტური მონაწილეობის მნიშვნელობის გათვალისწინებით ჩარჩო კონვენციასთან დაკავშირებულმა საკონსულტაციო კომიტეტმა (შემდგომში „საკონსულტაციო კომიტეტი“) გადაწყვიტა, თავისი მეორე თემატური კომენტარი სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და საზოგადოებრივ საქმეებში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის მიეძღვნა. წინამდებარე კომენტარის ძირითადი მიზანია, განიხილოს საკონსულტაციო კომიტეტის მიერ ძირითადად 1999-2007 წლებში სხვადასხვა ქვეყნისთვის მომზადებულ დასკვნებში ჩამოყალიბებული განმარტება ჩარჩო კონვენციის დებულებებისა, რომლებიც ეხება ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტურ მონაწილეობას. კომენტარი მიზნად ისახავს, უზრუნველყოს სასარგებლო ინსტრუმენტი სახელმწიფოთა ხელისუფლების ორგანოებისა და გადაწყვეტილებათა მიმღები პირებისათვის, საჯარო მოხელეებისათვის, უმცირესობათა ორგანიზაციებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, სამეცნიერო წრეებისა და უმცირესობათა დაცვაში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

3. კომენტარის შესავალ შენიშვნებში საუბარია მონაწილეობის მნიშვნელობაზე და მის საჭიროებაზე ჩარჩო კონვენციით გარანტირებული სხვა უფლებებით ქმედითი სარგებლობისათვის. თავად კომენტარში გაანალიზებულია რიგი ძირითადი დასკვნებისა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტურ მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩარჩო კონვენციის სხვადასხვა მუხლების საფუძველზე სხვადასხვა ქვეყნისთვის მომზადებულ დასკვნებში (ნაწილი III). კომენტარის დასკვნით ნაწილში ყურადღება გამახვილებულია იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც დარჩენილია ამ სფეროში, და იდენტიფიცირებულია სფეროები, რომლებსაც საკონსულტაციო კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაპყროს ქვეყნის სამომავლო მონიტორინგის პროცესში. დანართში გაანალიზებულია

[1] 1994 წელს მიღებული ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია ევროპის საბჭოს ძირითადი ინსტრუმენტია, რომლის მიზანია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების დაცვა. ჩარჩო კონვენცია ძალაში შევიდა 1998 წელს და დღეისათვის მისი რატიფიცირება 39-მა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა.

ურთიერთკავშირი ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლსა და სხვა მუხლებს შორის. წინამდებარე კომენტარი აღიქმება ცოცხალ დოკუმენტად, რომელიც უნდა დამუშავდეს ჩარჩო კონვენციის საფუძველზე მონიტორინგის პროცესის მიმდინარეობასთან ერთად.

4. კომენტარის მომზადებისას საკონსულტაციო კომიტეტმა ჩაატარა ფართო კონსულტაციები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებსა და ორგანიზაციებთან, სამეცნიერო წრეებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა კომენტარი გამოსულიყო რაც შეიძლება ყოვლისმომცველი და ადეკვატურად აესახა ეროვნული უმცირესობების წინაშე მდგომი პრობლემები.

ნაწილი II შესავალი შენიშვნები

1. საერთაშორისო სტანდარტები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისთვის: ჩარჩო კონვენცია და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

5. ეროვნულ უმცირესობათა და ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, როგორც ეს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციაშია გათვალისწინებული, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.[2] ამიტომ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და საზოგადოებრივ საქმეებში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობის უფლებაც, რომელიც ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლშია განსაზღვრული, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის განუყოფელი ნაწილია.

6. მართალია, ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ინდივიდუუმების უფლებებს იცავს,[3] გარკვეული უფლებებით, მათ შორის ეფექტური მონაწილეობის უფლებით, სარგებლობას კოლექტიური ხასიათი აქვს. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთი უფლებით ქმედითი სარგებლობა მხოლოდ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ სხვა პირებთან ერთობლივად არის შესაძლებელი.[4]

7. გარდა ჩარჩო კონვენციისა, არსებობს სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებიც, რომლებიც ეხება ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტურ მონაწილეობას. წინამდებარე კომენტარის მომზადებისას საკონსულტაციო კომიტეტმა გაითვალისწინა აღნიშნულ საერთაშორისო დოკუმენტებში ჩამოყალიბებული სტანდარტები. ისინი მოიცავს როგორც იურიდიულად მავალდებულებელ სტანდარტებს, ისე რეკომენდაციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. იურიდიულად მავალდებულებელ სტანდარტებს შორის არის ის სტანდარტები, რომლებიც მოცემულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მასთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალში, ევროპის შესწორებულ სოციალურ ქარტიაში ან რეგიონული თუ უმცირესობათა ენების შესახებ ევროპულ ქარტიაში. ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლის ანალიზის მომზადებისას საკონსულტაციო კომიტეტმა ასევე გაითვალისწინა ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის მიერ გამოქვეყნებული ლუნდის რეკომენდაციები

---

[2] იხილეთ ჩარჩო კონვენციის პირველი მუხლი.

[3] იხილეთ ჩარჩო კონვენციის ახსნა-განმარტებითი მოხსენება ჩარჩო კონვენციის პირველი მუხლის შესახებ, 31-ე პუნქტი.

[4] იხილეთ ჩარჩო კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი: „პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, შეუძლიათ ინდივიდუალურად, ისევე როგორც სხვებთან ერთად კავშირში, განახორციელონ ის უფლებები და ისარგებლონ იმ თავისუფლებებით, რომლებიც გამომდინარეობენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციით უზრუნველყოფილი პრინციპებიდან“.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა ეფექტური მონაწილეობის შესახებ. მონაწილეობის სფეროში ნორმების ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამაც, კერძოდ, მან მიიღო დეკლარაცია ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლებების შესახებ (მიღებულია 1992 წელს), დეკლარაცია მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ (მიღებულია 2007 წელს) და უფრო ზოგადი ხასიათის დოკუმენტი – საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

2. ძირითადი მოსაზრებები ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლთან დაკავშირებით

8. მე-15 მუხლი ჩარჩო კონვენციის ცენტრალური დებულებაა ბევრი თვალსაზრისით. ცხოვრების ყველა სფეროში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობის ხარისხი საზოგადოებაში პლურალიზმისა და დემორატიის დონის ერთ-ერთ ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომ წევრმა სახელმწიფოებმა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისთვის პირობების შექმნა პლურალისტურ საზოგადოებაში სათანადო მმართველობის პრინციპების განხორციელების განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილონ.

9. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტურ მონაწილეობას ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს სოციალური ინტეგრაციის გასაძლიერებლად, ვინაიდან ეროვნული უმცირესობების საზოგადოების პერიფერიაზე დატოვებამ შეიძლება გამოიწვიოს მათი სოციალური გარიყვა და დაძაბულობა ჯგუფებს შორის. სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მარგინალიზაციას თავისი შედეგები მოჰყვება მთლიანად ქვეყნისთვისაც და წარმოიშვება იმის საშიშროება, რომ მათ ვერ მოახმარონ თავისი პოტენციური რესურსები და ვერ შეიტანონ საკუთარი წვლილი საზოგადოების ცხოვრებაში.

10. მე-15 მუხლი, ისევე, როგორც ჩარჩო კონვენციის სხვა დებულებები, წევრ სახელმწიფოებს აკისრებს შედეგის ვალდებულებას: მათ უნდა უზრუნველყონ ეფექტური მონაწილეობისთვის პირობების შექმნა, თუმცა მათთვის არის მინდობილი აღნიშნული მიზნის მისაღწევად ყველაზე შესაფერისი საშუალებების შერჩევა. წინამდებარე კომენტარის მიზანია, მიაწოდოს წევრ სახელმწიფოებს არსებული გამოცდილების ანალიზი, რათა დაეხმაროს მათ ყველაზე ქმედითი საშუალებების იდენტიფიცირებაში.

11. საზოგადოების ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობის ხელშეწყობა საჭიროებს რეგულარულ და რეალურ დიალოგს როგორც ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებსა და მოსახლეობის უმრავლესობას შორის, ისე ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის. ამ ორივე ფორმის დიალოგის მიღწევა მხოლოდ კომუნიკაციისთვის ქმედითი არხების არსებობის პირობებშია შესაძლებელი.

12. საკონსულტაციო კომიტეტს მიაჩნია, რომ ჩარჩო კონვენციის საფუძველზე შექმნილი მონიტორინგის მექანიზმი თავისთავად მნიშვნელოვანი პროცესია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის დიალოგის ხელშეწყობისათვის.

ა) ეფექტური მონაწილეობა, სრული და ეფექტური თანასწორობა და ეროვნულ უმცირესობათა თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა

13. თუმცა მე-15 მუხლი ჩარჩო კონვენციის ცენტრალური დებულებაა, რომელიც ეხება ეფექტური მონაწილეობის უფლებას, მონაწილეობას ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებებით სრულად სარგებლობისათვის.[5] ამ კონტექსტში განსაკუთრებით ხაზგასასმელია ურთიერთკავშირი მე-15 მუხლსა და მე-4 და მე-5 მუხლებს შორის. მე-15, მე-4 და მე-5 მუხლები შეიძლება აღვიქვათ სამკუთხედის სამ კუთხედ, რომლებიც ერთად ჩარჩო კონვენციის საფუძველს ქმნიან.

14. მე-4 მუხლი სახელმწიფოებისგან მოითხოვს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის ცხოვრების ყველა სფეროში სრული და ეფექტური თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობას. ეს გულისხმობს კანონის მიერ თანაბარი დაცვისა და კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას და ეთნიკური წარმომავლობისა თუ ნებისმიერი სხვა ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმისაგან დაცვის უფლებას. გარდა ამისა, სრული და ეფექტური თანასწორობა იმასაც გულისხმობს, რომ ხელისუფლებამ უნდა გაატაროს კონკრეტული ზომები იმისათვის, რომ გადალახოს წარსულში არსებული თუ სტრუქტურული უთანასწორობები და უზრუნველყოს, რომ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებსა და მოსახლეობის უმრავლესობის წარმომადგენლებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეთ. მე-5 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, ,,შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის", რათა *ეფექტურად* იქნეს გარანტირებული თვითმყოფადობაზე მათი უფლება.

15. ეფექტური მონაწილეობის უფლება, როგორც ის მე-15 მუხლშია განსაზღვრული, შესაძლებელს ხდის, რომ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების პრობლემები, რომლებიც ეხება მათ სრულ და ეფექტურ თანასწორობას, ასევე მათი სპეციფიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და დაცვას, გაგონილი და რეალურად გათვალისწინებული იქნეს.

[5] იხილეთ კომენტარის დანართი.

ბ) ეფექტური მონაწილეობა „იმ საკითხებში, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს ეხება“

16. მე-15 მუხლის მოთხოვნაა, რომ სახელმწიფოებმა შექმნან საჭირო პირობები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტაში, *კერძოდ, იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც მათ ეხება.* მე-15 მუხლის ეს ნაწილი მოითხოვს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა საგანგებო ყურადღება მიაქციონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ჩართულობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ მათ ეხება. საკონსულტაციო კომიტეტმა ვრცელი კომენტარები გააკეთა სხვადასხვა მექანიზმებზე, რომლებიც სახელმწიფოებმა შექმნეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩასართავად საკონსულტაციო და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში უშუალოდ მათთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს კომენტარები ყურადღებას ამახვილებს იმ მექანიზმებზე, რომლებიც მიზნად ისახავს ეროვნული უმცირესობების ჩართვას კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ პოლიტიკასა და საზოგადოებრივ საქმეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში.

17. ამავე დროს, საკონსულტაციო კომიტეტს არაერთხელ გაუსვამს ხაზი, რომ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს სიტყვა უნდა ეთქმოდეთ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ მათ არ ეხება, მაგრამ მოქმედებს მათზე, როგორც ზოგადად საზოგადოების წევრებზე. საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობას ნამდვილად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმისათვის, რომ უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების კონკრეტული პრობლემების გათვალისწინება, არამედ იმისთვისაც, რომ შესაძლებელი გახადოს მათი ზემოქმედება საზოგადოების განვითარების საერთო მიმართულებაზე.

გ) მონაწილეობის „ეფექტურობა“

18. მეორე ცენტრალური პრობლემა მე-15 მუხლთან მიმართებაში არის „ეფექტურობის“ მნიშვნელობა უმცირესობათა მონაწილეობის კონტექსტში. მონაწილეობის „ეფექტურობა“ ვერ განისაზღვრება და გაიზომება აბსტრაქტული ტერმინებით. როდესაც განიხილავდა, თუ რამდენად ეფექტურია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა, საკონსულტაციო კომიტეტმა არა მარტო ის საშუალებები გააანალიზა, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სრულ და ეფექტურ თანასწორობას, არამედ გაითვალისწინა მათი ზემოქმედება განსახილველი პირების საერთო მდგომარეობაზე და მთლიანად საზოგადოებაზე. ამ ზემოქმედებას ხარისხობრივი და რიცხობრივი განზომილებები აქვს და განსხვავებულად შეიძლება აღიქმებოდეს სხვადასხვა მონაწილის მიერ, პროცესში მათი ჩართულობის მიხედვით.

19. შესაბამისად, არ არის საკმარისი, რომ წევრმა სახელმწიფოებმა მხოლოდ ოფიციალურ დებულებებში გაითვალისწინონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი

პირების მონაწილეობა. მათ უნდა უზრუნველყონ, აგრეთვე, რომ აღნიშნული პირების მონაწილეობამ არსებითი გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ერთობლივად იქნება მიღებული.

20. ანალოგიურად, წევრი სახელმწიფოების მიერ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად განხორციელებული ზომები გავლენას უნდა ახდენდეს მათთვის, როგორც ინდივიდუალური ეკონომიკური მოთამაშეებისთვის, შრომის ბაზრის მისაწვდომობაზე, სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობაზე და, შედეგად, მათი ცხოვრების ხარისხზე. ამ კონტექსტში სრული და ეფექტური თანასწორობა შეიძლება განხილული იქნეს როგორც ეფექტური მონაწილეობის შედეგი.

21. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის შესაძლოა გამოწვევა იყოს გადაწყვეტილებათა მიღებაში ეფექტური მონაწილეობა. საჭიროა დროისა და რესურსების გამოყოფა არა მარტო მონაწილეობის მიღების, არამედ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს შორის აზრთა სხვადასხვაობის ზუსტად ასახვის მიზნით. შესაბამისად, ეროვნულ უმცირესობებს შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად სათანადო რესურსებიც ესაჭიროებათ, რათა მათმა წარმომადგენლებმა რეალურად შეძლონ საერთო საქმეში წვლილის შეტანა.

დ) ეროვნული უმცირესობების ეფექტური მონაწილეობა და კულტურათაშორისი დიალოგი

22. მე-15 მუხლის დანიშნულებაა, აგრეთვე, კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა: ეროვნული უმცირესობები შესამჩნევი უნდა გახდნენ, მათი ხმა გაგონილი და გათვალისწინებული უნდა იქნეს და ისინი ქმედით მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ გადაწყვეტილებათა მიღებაში, მათ შორის ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც მთელ საზოგადოებას ეხება. დიალოგი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებითა და სახელისუფლებო სტრუქტურებით, არამედ უნდა გავრცელდეს საზოგადოების ყველა სეგმენტზე. ჩარჩო კონვენცია მიზნად ისახავს, მეტი შესაძლებლობები მისცეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს, რომ ჩაერთონ საზოგადოების ძირითად ნაწილში, და, ამავე დროს, საშუალება მისცეს მოსახლეობის უმრავლესობას, უკეთ გაეცნონ მათ კულტურას, ენას და ისტორიას, აგრეთვე ეროვნული უმცირესობების ისტორიას, კულტურათაშორისი დიალოგის სულისკვეთებით.[6]

[6] იხილეთ, აგრეთვე, ჩარჩო კონვენციის 6.1 მუხლი.

ნაწილი III. ძირითადი დასკვნები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის შესახებ

1) მონაწილეობა ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში

23. საკონსულტაციო კომიტეტს ხშირად აღუნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების *ეფექტური* მონაწილეობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მათი მონაწილეობით საზოგადოებრივ საქმეებში და რომ მათი აქტიური მონაწილეობა ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში, ევროპის სოციალური ქარტიისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის პრინციპების შესაბამისად.

24. მონაწილეობა სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მოიცავს მრავალ საკითხს, დაწყებული ადიკვატური საცხოვრებლის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის (სოციალური დაზღვევა და სოციალური შეღავათები) ხელმისაწვდომობიდან, დასრულებული სოციალური კეთილდღეობის სამსახურებით და სამუშაოს ხელმისაწვდომობით. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში ნიშნავს კერძო თუ სახელმწიფო შრომის ბაზრის მისაწვდომობას და ბიზნესის წარმართვის და სხვა სახის თვითდასაქმების შესაძლებლობებს. ეს, თავის მხრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ქონებრივ უფლებებთან და პრივატიზაციის პროცესებთან.

25. ასევე აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნულ უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფისადმი კუთვნილი პირები ხვდებიან სხვადასხვა დაბრკოლებას სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობისთვის. ზოგიერთი ისეთი ჯგუფების წამომადგენლები, როგორიცაა ბოშები ან მკვიდრი მოსახლეობა, უფრო მეტად განიცდიან გარიყვას სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებიდან, ვიდრე სხვა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები ან მოსახლეობის უმრავლესობა. ამ ჯგუფებთან დაკავშირებით შეიძლება საჭირო გახდეს განსაკუთრებული ზომების მიღება მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

26. ეფექტური მონაწილეობა სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, *inter alia,* მოითხოვს სახელმწიფოებისგან იმ ბარიერების აღმოფხვრას, რომლებიც ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს ხელს უშლის ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, სოციალური მომსახურებების და დასაქმებისა თუ საბაზრო შესაძლებლობების და მთელი რიგი სახელმწიფო მომსახურებების, მათ შორის საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის, თანასწორ ხელმისაწვდომობაში.

27. უფრო მეტიც, თანასწორი შესაძლებლობები არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ ბაზრების და მომსახურებების თანასწორი ხელმისაწვდომობით. ეფექტური

მონაწილეობა ასევე მოითხოვს სახელმწიფოებისგან ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობის ხელშეწყობას და შეღავათებსა და შესაბამის შედეგებს სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში, მათ შორის ეკონომიკური განვითარების შედეგად მიღებული სარგებლით, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებით, სოციალური უზრუნველყოფით და შეღავათების სხვა ფორმებით სარგებლობის უფლებას.

28. აქედან გამომდინარე, საკონსულტაციო კომიტეტის ქვემოთ მოცემული დასკვნები წარმოადგენს მე-15 (ეფექტური მონაწილეობა) და მე-4 (თანასწორი მოპყრობა) მუხლებიდან გამომდინარე დასკვნების კომბინირებულ ანალიზს.

29. ზოგიერთი დასკვნა ეხება წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობას; ეს დასკვნები დაკავშირებულია ეროვნულ უმიცრესობათა სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესახებ სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობასთან და სახელმწიფო სამსახურების ზოგჯერ არაადეკვატურ რეაგირებასთან ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა საჭიროებებზე; ზოგიერთი დასკვნა საგანგებოდ ეხება იმ ქვეყნებს, რეგიონებსა თუ უმცირესობათა ჯგუფებს, სადაც ეროვნული უცირესობები აწყდებიან სირთულეებს მიწის პრივატიზაციის პროცესში და დაბრკოლებებს მათ მიერ ტრადიციული საქმიანობის განხორციელებაში.

ა) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესახებ სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა

30. სახელმწიფოები რეგულარულად უნდა აგროვებდნენ მონაცემებს და ახალ ინფორმაციას ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა სოციალურ-ეკონომიკური და განათლების მდგომარეობის შესახებ, რათა შეადარონ ისინი მოსახლეობის უმრავლესობის მდგომარეობას. ასაკის, სქესის და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით დანაწილებული სარწმუნო მონაცემების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი პირობაა კარგად დაგეგმილი და ისეთი მდგრადი ზომების ჩამოყალიბებისთვის, რომლებიც დააკმაყოფილებს კონკრეტული პირების საჭიროებებს. ასეთ მონაცემებს ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეფექტიანი პოლიტიკის და ღონისძიებების ფორმულირებაში დისკრიმინაციის პრობლემის გადაწყვეტისას ისეთ სფეროებში, როგორიცაა დასაქმების და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა. მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები, როგორც წესი, არ არის საკმარისი შესაბამისი პოლიტიკისა და ღონისძიებების ჩამოყალიბებისთვის.

31. ეროვნულ უმცირესობათა სიტუაციასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება უნდა განხორციელდეს პირადი მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით[7] და ასევე დაცული უნდა იქნეს პატივისცემა ეროვნული

[7] იხილეთ, მაგალითად, კონვენცია პირადი მონაცემების ავტომატური დამუშავებისგან ინდივიდების დაცვის შესახებ (EST 108) და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (97) 18 სტატისტიკური მიზნებით მოგროვებული და დამუშავებული პირადი მონაციემების დაცვის შესახებ.

უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა უფლებისა, თავისუფლად აირჩიონ, იქნენ თუ არა ისინი განხილული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებად. სადაც ეს შესაძლებელია, მოცემული ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები ჩართული უნდა იქნენ მონაცემთა შეგროვების პროცესში, ხოლო ამგვარი მონაცემების შეგროვების მეთოდები უნდა ჩამოყალიბდეს მათთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე.

ბ) სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონმდებლობა

32. საკონსულტაციო კომიტეტი ხშირად შეხვედრია ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს შორის პროპორციულად უფრო მაღალი იყო უმუშევრობის დონე, ზოგჯერ დაბალი იყო დასაქმების მაჩვენებლები და, ჩვეულებრივ, დაბალი იყო მონაწილეობა შრომის ბაზარზე, ვიდრე მოსახლეობის უმრავლესობისთვის. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები აწყდებიან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დისკრიმინაციას, უთანასწორობას პროფესიულ განვითარებაში, ხშირად კი სტრუქტურულ წინააღმდეგობებს (მაგალითად, ორგანიზაციაში მათი დაწინაურების მიმართ არსებულ ზღვარს).

33. ყოვლისმომცველი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც აკრძალავდა დისკრიმინაციას ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების საფუძველზე, რაც მოიცავს დასაქმების, საცხოვრებლის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის სფეროებს კერძო და სახელმწიფო მოქმედი პირების მონაწილეობით, წინაპირობაა ისეთი პოლიტიკისთვის, რომელიც მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა მონაწილეობის ხელშეწყობისაკენ.

34. ამიტომ საკონსულტაციო კომიტეტს არაერთხელ მოუთხოვია დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონმდებლობის ამოქმედება ან შემდგომი დახვეწა და სრულად განხორციელება, რათა აღმოიფხვრას ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების დისკრიმინაცია, განსაკუთრებით შრომის ბაზარზე, საცხოვრებელთან დაკავშირებულ სფეროში და ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებელთა მხრიდან. ეს იმასაც გულისხმობს, რომ ადეკვატური ზომები უნდა იქნეს მიღებული ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებისთვის და ჩატარდეს ტრენინგები ყველა დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოებისათვის.

35. ასევე აუცილებელია დისკრიმინაციის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის შესაბამისი ზომების ხელმისაწვდომობა. სახელმწიფოებმა უნდა გაზარდონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა ინფორმირებულობა არსებულ ზომებთან დაკავშირებით და უზრუნველყონ აღნიშნული ზომების ადვილი მისაწვდომობა.

36. გარდა ამისა, საკონსულტაციო კომიტეტს არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ რასიზმი და დისკრიმინაცია განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ზოგიერთი ეროვნული უმცირესობის ჯგუფისადმი კუთვნილ

ქალებსა და გოგონებზე. ისინი შეიძლება სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის მსხვერპლნი გახდნენ მათი ეთნიკური წარმოშობის და სქესის გამო. ამიტომ საგანგებოდ გამიზნული ზომები მიმართული უნდა იყოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ქალების მიმართ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის აღმოფხვრისკენ[8].

გ) სახელმწიფო სამსახურების უნარი, დააკმაყოფილონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები

37. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა მონაწილეობას სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ხშირად ხელს უშლის ადმინისტრაციული სირთულეები და უყურადღებობა მათი საჭიროებების მიმართ, ასევე ის ბარიერები, რომლებსაც ეს ადამიანები აწყდებიან ადმინისტრაციის და სახელმწიფო სამსახურების მხრიდან. ზოგიერთ შემთხვევაში სირთულეები ჩნდება იმის გამო, რომ ამა თუ იმ ადმინისტრაციას არ შესწევს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების უნარი. ადმინისტრაციასა და სახელმწიფო სამსხურებში იგულისხმება სასწავლო და სოციალური დაწესებულებები, როგორიცაა დასაქმების სამსახურები, სოციალური სამსახურები და სოციალური შეღავათების მომწოდებლები, ჯანმრთელობისა დაცვის და განსახლების სამსახურები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და კომუნალური სამსახურები, სპორტისა და რეკრეაციის სამსახურები.

38. აქედან გამომდინარე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ უკეთ მოხდეს სახელმწიფო სამსახურებისა და სოციალური დაწესებულებების თანამშრომელთა მომზადება, რათა მათ შეძლონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა საჭიროებებზე ადეკვატური რეაგირება. შეიძლება საჭირო გახდეს სპეციალური ტრენინგების ჩატარება ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა სპეციფიკურ საჭიროებებთან და, ასევე, იმ განსაკუთრებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება ზემოქმედებას ახდენდეს გარკვეული ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებზე. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს სოციალური იზოლირების მეტი რისკი ემუქრებათ, ხოლო მათ ინტეგრირებას სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ხშირად სჭირდება მიზნობრივი მიდგომა, რომელიც სრულად გაითვალისწინებს კულტურულ და სხვა განსაკუთრებულ გარემოებებს.

39. სახელმწიფო სამსახურები და სოციალური დაწესებულებები ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთათვის. ამისათვის შეიძლება საჭირო გახდეს შეხვედრების გამართვა მათთან და ამ სამსახურებისა და დაწესებულებების ადაპტირება ისე, რომ ისინი ისევე ეფექტიანად და რეალურად აკმაყოფილებდნენ ეროვნულ უმცირესობათა განსაკუთრებულ საჭიროებებს, როგორც ზოგადად მოსახლეობის საჭიროებებს.

---

[8] იხილეთ, მაგალითად, მეორე დასკვნა ირლანდიასთან დაკავშირებით, მიღებული 2006 წლის 6 ოქტომბერს, 50-ე და 51-ე პუნქტები.

40. სახელმწიფო სამსახურებისა და სოციალური დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია და კონსულტაციები ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, სადაც ეს შესაძლებელია, ეროვნულ უმცირესობათა ენებზე.

41. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა, როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ დონეებზე, ხელი უნდა შეუწყონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების დაქირავებას, პროფესიულ წინსვლას და დაკავებას ადმინისტრაციასა და სახელმწიფო სამსახურებში.

დ) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ღარიბ რეგიონებში

42. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები ხშირად ცხოვრობენ სასაზღვრო ტერიტორიებზე და პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცენტრებიდან მოშორებულ სხვა რეგიონებში. აქედან გამომდინარე, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ უფრო რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა. წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღონ პერიფერიებზე და/ან ეკონომიკურად ღარიბ რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობათა გაზრდისთვის. ასეთ რეგიონებად ითვლება სოფლები, იზოლირებული და სასაზღვრო ტერიტორიები, ომის შედეგად ან დეინდუსტრიალიზაციით დაზარალებული რეგიონები[9].

43. სადაც ეს შესაძლებელია, ამის მიღწევა შეიძლება ორმხრივი ან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობით. სავაჭრო და სხვა ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მოითხოვს მოძრაობას საზღვარზე, შეიძლება გახდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის. ამიტომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ ადამიანების საზღვარზე მოძრაობას არ უშლიდეს ხელს რაიმე უსაფუძვლო დაბრკოლებები.

44. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ღარიბ რეგიონებზე, მათ შორის რაიონულ ცენტრებზე, მიმართული ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამები და რეგიონული განვითარების ინიციატივები ისე ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს, რომ სასარგებლო გახდეს ამგვარ რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის. ამის უზრუნველყოფის მიზნით უნდა ჩატარდეს კვლევები, რომლებიც შეაფასებს განვითარების პროექტების შესაძლო

[9] იხილეთ, მაგალითად, პირველი დასკვნა უკრაინასთან დაკავშირებით, მიღებული 2002 წლის 1 მარტს, 73-ე პუნქტი, და მეორე დასკვნა ესტონეთთან დაკავშირებით, მიღებული 2005 წლის 24 თებერვალს, 160-ე პუნქტი.

ზემოქმედებას ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ჯგუფების ქალების და ახალგაზრდების მდგომარეობას.

45. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სრული ჩართვა იმ პოლიტიკისა და პროექტების დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, რომლებმაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ მათ ეკონომიკურ ყოფაზე და იმ რეგიონებზე, სადაც ეს ადამიანები დიდი რაოდენობით სახლობენ.

46. კონფლიქტისშემდგომ სიტუაციაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ იმ პირთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რომლებიც თავისი წარმოშობის გამო გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი და რომლებიც ამის გამო არ არიან დასაქმებულნი. განსაკუთრებული ზომები უნდა იქნეს მიღებული წარსულის დისკრიმინაციის შედეგების გამოსწორებისთვის და ამ ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის.[10]

ე) სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში რთულ პირობებში მყოფი ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა მონაწილეობა

47. უმცირესობათა გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლები, მათ შორის ბოშები და მკვიდრი მოსახლეობა, ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე გაცილებით რთულ პირობებში, ვიდრე სხვები, შრომის ბაზრის, განათლების და ტრენინგის, საცხოვრებლის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. სხვადასხვა სექტორში სირთულეები ხშირად ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთმანეთისგან გამომდინარეობს, რასაც შეუძლია ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური მონაწილეობიდან გამორიცხვის სპირალის წარმოშობა. ამ ჯგუფების ქალები ხშირად ყველაზე მეტად არიან განწირულნი სიღარიბისა და სოციალური იზოლირებისთვის.

48. გარდა ამისა, ამ ჯგუფების წევრთა გარკვეულ რაოდენობას კვლავაც უკავია სპეციფიკური ეკონომიკური ნიშა და განაგრძობს ტრადიციულ საქმიანობასა და ვაჭრობას, რაც ზოგჯერ ძალზე რთულია სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ გარემოში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან ხელისშემშლელი ბარიერები, მათ შორის ზედმეტად მკაცრი მარეგულირებელი წესები, რომლებიც ხელს უშლის გარკვეული ჯგუფებისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას. ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს საკითხი ამ სფეროში რაიმე ახალი წესების შემოღებისას.

[10] იხილეთ, მაგალითად, მეორე დასკვნა ხორვატიასთან დაკავშირებით, მიღებული 2004 წლის 1 ოქტომბერს, პუნქტები 60-62.

49. სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში რთულ პირობებში მყოფ უმცირესობათა ჯგუფებისადმი კუთვნილი პირების ეფექტიანი ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი სტრატეგიები. იქ, სადაც ასეთი სტრატეგიები უკვე ჩამოყალიბებულია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ ეფექტიან განხორციელებას. უნდა მოხდეს სათანადო რესურსების დროულად მიწოდება საქმიანობის ყველა დონეზე, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე. გარდა ამისა, ამგვარი პროცედურების განხორციელება საჭიროებს სათანადო მონიტორინგს და მათი ზემოქმედების შეფასებას უმცირესობათა მოცემულ ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნულის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ამ პროცედურების ადაპტაცია და შემდგომი დახვეწა. ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს სხვადასხვა ორგანოს მიერ განხორციელებული ზომების ეფექტიან კოორდინირებას.

ვ) მიწისა და ქონების ხელმისაწვდომობა, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პირობა

50. ქონების (იქნება ეს საცხოვრებელი, კომერციული თუ სასოფლო-სამეურნეო ქონება) ხელმისაწვდომობაში არსებულმა დაბრკოლებებმა შეიძლება არაპროპორციული ზემოქმედება მოახდინოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებზე, გაზარდოს მათი ეკონომიკური სირთულეები და უმუშევრობა.

51. ქონების, მათ შორის, მიწის უთანასწორო ხელმისაწვდომობა ზოგჯერ დაკავშირებულია პრივატიზაციის და ქონების რესტიტუციის პროცესებთან, რაც ზოგიერთ შემთხვევაში არაპროპორციულ ზემოქმედებას ახდენს უმცირესობათა დაუცველი ჯგუფების წევრებზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პრივატიზაციის და ქონების რესტიტუციის თანასწორი და სამართლიანი ხელმისაწვდომობა, ვინაიდან ამას შეიძლება გრძელვადიანი შედეგები მოჰყვეს ეკონომიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა ეფექტური მონაწილეობისთვის. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის სრული და ეფექტური თანასწორობის მინიჭების მიზნით ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობა, ჩამოაყალიბოს ამ პროცესის მონიტორინგის მექანიზმები და შესაბამის დროს შეაფასოს პრივატიზაციის ზემოქმედება. გარდა ამისა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები.[11]

52. ქონების ხელმისაწვდომობაში შექმნილი სერიოზული სირთულეები შეიძლება წარმოადგენდეს შეიარაღებული კონფლიქტის და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შედეგს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა ქონების მოთხოვნასთან

[11] იხილეთ, მაგალითად, დასკვნა კოსოვოსთან დაკავშირებით (UNMIK), მიღებული 2005 წლის 25 ნოემბერს, 115-ე პუნქტი.

დაკავშირებული საჩივრების განხილვა ეფექტიანად და გამჭვირვალედ ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დისკრიმინაციული შედეგები.[12]

53. მიწის გამოყენებაზე უფლებების დარღვევამ ან შეზღუდვამ გარკვეული ჯგუფებისთვის, როგორიცაა მკვიდრი მოსახლეობა, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწის გამოყენებასთან, შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს მათ მონაწილეობას სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, ტრადიციულად მათ სარგებლობაში მყოფი მიწა კარგად უნდა იქნეს დაცული. გარდა ამისა, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები სერიოზულად უნდა იქნენ ჩართული ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ტრადიციულ საცხოვრებელ ტერიტორიებზე მიწის გამოყენებაზე.

ზ) საცხოვრებელი ადგილი, ენა და სხვა მოთხოვნები, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პირობა

54. ზოგიერთ სახელმწიფოში ზოგი დამქირავებლები ან სახელმწიფო ადგენენ ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს როგორც დასაქმების წინაპირობას[13] ან კერძო ბიზნესის რეგისტრირებისა და განხორციელების პირობას. ამგვარმა პრაქტიკამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ეროვნულ უმცირესობათა ზოგიერთი ჯგუფისადმი კუთვნილ პირებზე. ისინი შეიძლება განსაკუთრებული სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ მათი ცხოვრების უფლების რეგისტრირებისას ადმინისტრაციული თუ სხვა ხელშემშლელი პირობების გამო. ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ასევე შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანებს ძირითადი სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობაში, როგორიცაა, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვა, დასაქმების სამსახურები და პენსიის დანიშვნა. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ის პირები, რომლებსაც ახასიათებთ ცხოვრების მომთაბარე სტილი, ასევე აწყდებიან ბარიერებს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაში, ვინაიდან საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული მოთხოვნები არ შეესაბამება მათი ცხოვრების წესს.

55. გარდა ამისა, გაუმართლებელმა ან შეუსაბამო მოთხოვნებმა ენის ცოდნასთან დაკავშირებით გარკვეული სამუშაოს თუ საქონლისა და მომსახურების მისაღებად, განსაკუთრებით კერძო სექტორში, შეიძლება ხელი შეუშალოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს დასაქმების თუ სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობაში.[14] წევრმა სახელმწიფოებმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ უსაფუძვლო შეზღუდვების მოსახსნელად შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობაში, რაც

[12] იხილეთ, მაგალითად, დასკვნა კოსოვოსთან დაკავშირებით (UNMIK), მიღებული 2005 წლის 25 ნოემბერს, 116-ე პუნქტი.

[13] იხილეთ, მაგალითად, მეორე დასკვნა რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით, 59-ე, 272-ე და 273-ე პუნქტები.

[14] იხილეთ, მაგალითად, პირველი დასკვნა აზერბაიჯანთან დაკავშირებით, მიღებული 2003 წლის 22 მაისს, 79-ე პუნქტი.

განსაკუთრებით მოქმედებს ეროვნულ უმცირესობათა გარკვეული ჯგუფებისადმი კუთვნილ პირებზე. თუ ენის ცოდნის მოთხოვნა კანონიერი პირობაა ზოგიერთი სამუშაო ადგილის მისაღებად, კერძოდ, სახელმწიფო სამსახურში, მაშინ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის უნდა მუშაობდეს ენის შემსწავლელი კურსები მათი დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით. ძირითადი სოციალური შეღავათების და გარკვეული სახელმწიფო მომსახურების ხელმისაწვდომობას ხელს არ უნდა უშლიდეს ენის ცოდნის ან ცხოვრების უფლების უსაფუძვლო მოთხოვნები.

56. ამავე დროს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ცხოვრების უფლების რეგისტრაციის პროცესების მისაწვდომობა და არ უნდა მიმართონ დისკრიმინაციას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა მიმართ. სადაც ეს საჭიროა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს უნდა შეეძლოთ რეგისტრაციასთან დაკავშირებული დახმარების მიღება. და ბოლოს, ხელისუფლება უნდა ახორციელებდეს რეგისტრაციის პროცესების რეგულარულ მონიტორინგს.

თ) საცხოვრებელი პირობების სტანდარტები და მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში

57. არასტანდარტული საცხოვრებელი პირობები, ხშირად ეროვნულ უმცირესობათა გარკვეული ჯგუფებისადმი კუთვნილი პირების ფიზიკურ/სივრცობრივ გამოყოფასთან ერთად (განსაკუთრებით ეს ეხება ბოშებს), მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ შესაძლებლობაზე, მიიღონ მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მათი შემდგომი გაღატაკება, მარგინალიზაცია და სოციალური გარიყვა. ეს კიდევ უფრო მძრაფრდება ისეთი კანონების უქონლობის გამო, რომლებიც უზრუნველყოფდა მათი ცხოვრების უფლებებს იძულებითი გასახლების მიმართ მათი დაუცველობის გამო, რაც ხშირად გამომდინარეობს ქონების რესტიტუციის პროცესიდან.[15]

58. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ქმედითი ზომები დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რაც იწვევს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა იზოლირებას და მარგინალიზაციას.[16] განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების უფლებათა პატივისცემას.

59. გარდა ამისა, წევრმა სახლემწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ყოვლისმომცველი სექტორული პროცედურები არასტანდარტულ საცხოვრებელ პირობებთან და ძირითადი

[15] იხილეთ, მაგალითად, მეორე დასკვნა რუმინეთთან დაკავშირებით, მიღებული 2005 წლის 24 ნოემბერს, მე-80 და 82-ე პუნქტები.

[16] იხილეთ, მაგალითად, მეორე დასკვნა ჩეხეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით, მიღებული 2005 წლის 24 თებერვალს, 52-ე და 57-ე პუნქტები; მეორე დასკვნა სლოვაკეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით, მიღებული 2005 წლის 26 მაისს, 46-ე პუნქტი, და მეორე დასკვნა სლოვენიასთან დაკავშირებით, მიღებული 2005 წლის 26 მაისს, 67-ე და 68-ე პუნქტები.

ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს გარკვეულ უმცირესობებზე. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე ხელი უნდა შეუწყონ ადეკვატური საცხოვრებელი პირობების თანასწორ ხელმისაწვდომობას, კერძოდ, სუბსიდირებული საცხოვრებლის გაუმჯობესებული მისაწვდომობის გზით.

60. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მოცემული პირების ადეკვატური მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საცხოვრებელთან დაკავშირებული და მსგავსი პროგრამების შემუშავებისას. ამგვარი პროცედურებისთვის აუცილებელია სათანადო დაფინანსება. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ასრულებდნენ დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ არსებულ კანონმდებლობას საცხოვრებელთან დაკავშირებით, ვინაიდან ზომები, რომლებიც მუდმივ სახეს აძლევს იზოლირებას, ხშირად ადგილობრივად ხორციელდება.

ი) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა

61. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობაში. ეს არის სიტუაცია, რომელსაც იწვევს სხვადასხვა ფაქტორი, როგორიცაა, მაგალითად, დისკრიმინაცია, სიღარიბე, გეოგრაფიული იზოლირება, კულტურული განსხვავებები ან ენობრივი ბარიერი. ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობაში არსებული სირთულეები უარყოფით ზეგავლენას ახდენს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა მონაწილეობაზე სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

62. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა ეფექტური მონაწილეობა იმ ზომების ჩამოყალიბებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, რომლებიც დაკავშირებულია მათი ჯანმრთელობის დაცვაში არსებულ პრობლემებთან.

63. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომუშავე სამედიცინო და ადმინისტრაციულმა მუშაკებმა უნდა გაიარონ ტრენინგი ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ და ენობრივ საკითხებთან დაკავშირებით, რათა შეძლონ ადეკვატური რეაგირება ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა სპეციფიკურ საჭიროებებზე.[17] ჯანმრთელობის სფეროში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა დასაქმება შუამავლებად ან ასისტენტებად დიდ წვლილს შეიტანდა ეროვნულ

[17] იხილეთ, ასევე, „გ" ნაწილში მოყვანილი შენიშვნები ზემოთ.

უმცირესობებთან ურთიერთობის განვითარებაში და მათ მიმართ უფრო ადეკვატური მიდგომების შერჩევაში[18].

64. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს თანაბრად ქმედითი მომსახურებების მიწოდება ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.[19] თანასწორი შესაძლებლობების პოლიტიკა არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის მისაწვდომობას. ამგვარი პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს თანასწორად ხარისხიანი მომსახურებების მიწოდებას ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის, რასაც ისეთივე შედეგები აქვს, როგორც დანარჩენი მოსახლეობისთვის განკუთვნილ დებულებებს.

2) მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში[20]

65. წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის ეფექტურობა მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებრივ საქმიანობაში, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის დონეს. ჩარჩო კონვენცია იცავს როგორც ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების უფლებას, გაუფრთხილდნენ და განავითარონ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობა და თვითმყოფადობა, ასევე მათ უფლებას, ქმედითი და ინტერაქტიული მონაწილეობა მიიღონ საერთო კულტურულ ცხოვრებაში, ტოლერანტობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებით. შესაბამისად, ამ

---

[18] იხილეთ, მაგალითად, მეორე დასკვნა ჩეხეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით, მიღებული 2005 წლის 24 თებერვალს, 55-ე პუნქტი, და მეორე დასკვნა სლოვაკეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით, მიღებული 2005 წლის 26 მაისს, 56-ე და 57-ე პუნქტები.

[19] იხილეთ, მაგალითად, მეორე დასკვნა სლოვაკეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით, მიღებული 2005 წლის 26 მაისს, 56-ე და 57-ე პუნქტები.

[20] იხილეთ, აგრეთვე, ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო ტექსტები კულტურული მრავალფეროვნების და მედიის შესახებ, როგორიც არის:

- *ფაროს დეკლარაცია კულტურათშორისი დიალოგის ევროპული სტრატეგიის შესახებ,* მიღებული ევროპის კულტურული კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების კულტურის მინისტრების მიერ 2005 წლის 27 და 28 ოქტომბერს ფაროში გამართულ შეხვედრაზე.
- *დეკლარაცია კულტურათშორისი დიალოგის და კონფლიქტების პრევენციის შესახებ,* მიღებული ევროპის ქვეყნების კულტურის მინისტრების კონფერენციის მიერ 2003 წლის 22 ოქტომბერს.
- ევროპული მინისტერიალის მე-7 კონფერენცია მასმედიის პოლიტიკის შესახებ: *ინტეგრაცია და მრავალფეროვნება: ევროპული მედიის ახალი საზღვრები და კომუნიკაციის პოლიტიკა.* მიღებული ტექსტები (MCM(2005)005).
- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (97) 21 *მედიისა და ტოლერანტობის კულტურის პოპულარიზაციის შესახებ და მისი განმარტების მემორანდუმი.*
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა: რეკომენდაცია 1773 (2006): *2003 სახელმძღვანელო მითითება ეროვნული უმცირესობების ენების გამოყენების შესახებ სამაუწყებლო მედიაში და ევროპის საბჭოს სტანდარტები: ეუთო-სთან თანამშრომლობისა და ერთობლივი მოქმედების საჭიროება.*
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა: რეკომენდაცია 1277 (1995) *მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და მედიის შესახებ.*

თავში წარმოდგენილი ფაქტები მე-5, მე-6 და მე-15 მუხლების ერთობლივი ანალიზიდან გამომდინარეობს.

66. როდესაც ხდება ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებთან დაკავშირებული კულტურული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, შესაბამისმა უწყებებმა სათანადო კონსულტაციები უნდა გამართონ მათთან, რათა რეალურად დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებები. მეორეს მხრივ, ეროვნული უმცირესობებიც, თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით, ქმედით მონაწილეობას უნდა იღებდნენ თავიანთი კულტურული ინიციატივებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის მოსაპოვებელ პროცესებში. გარდა ამისა, თუ კონკრეტული დაწესებულებები არსებობს ამგვარი მხარდაჭერისთვის მიმართულების მისაცემად, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები ადეკვატურად უნდა იყვნენ იქ წარმოდგენილნი და შეეძლოთ მონაწილეობა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში.[21]

67. დეცენტრალიზაციის პროცესებს მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ ითამაშონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისთვის საჭირო პირობების შექმნაში, რათა მათ ეფექტური მონაწილეობა მიიღონ კულტურულ ცხოვრებაში. კერძოდ, ამის მაგალითია კულტურული ავტონომია, რომლის მიზანი, *inter alia*, არის ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის უფლებამოსილების დელეგირება კულტურისა და განათლების სფეროში, რაც გაზრდის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა მონაწილეობას კულტურულ ცხოვრებაში.[22]

68. გარდა ამისა, როდესაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას ვაანალიზებთ, საჭიროა შევაფასოთ მედიაში მათი მონაწილეობის დონე. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, შექმნან და გამოიყენონ საკუთარი მედია. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს და თავად იყვნენ წარმოდგენილი საერთო მედიაში, რომ საკუთარი შეხედულებები გამოხატონ მთელი საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხებზე.

3) მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში

69. საკონსულტაციო კომიტეტმა, როდესაც იხილავდა, თუ რამდენად ეფექტურია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა, გააანალიზა ზოგადად მათი ჩართულობა გადაწყვეტილებათა მიღებაში. კომიტეტმა არა მარტო აღნიშნული პირების სხვადასხვა მექანიზმებში წარმომადგენლობა და მონაწილეობა შეისწავლა, არამედ ყურადღება გაამახვილა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებზე მათი ზემოქმედების ეფექტურობაზე. გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ფორმატი, რომელიც წევრ სახელმწიფოებში

[21] იხილეთ, მაგალითად, ნორვეგიის შესახებ მე-2 დასკვნა, მიღებული 2006 წლის 5 ოქტომბერს, მე-60 და 69-ე პუნქტები.
[22] იხილეთ, აგრეთვე, ქვემოთ პუნქტები 133-137 ავტონომიის მოწყობის შესახებ.

არსებობს, მხედველობაში უნდა იღებდეს საზოგადოების შემადგენლობას და ასახავდეს მის მრავალფეროვნებას.

70. ეფექტური მონაწილეობა მოიცავს შესაძლო ფორმების ფართო სპექტრს, როგორიც არის ინფორმაციის გაცვლა, დიალოგი, არაფორმალური და ფორმალური კონსულტაციები და მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღებაში. ამის უზრუნველყოფა სხვადასხვა არხებით შეიძლება, საკონსულტაციო მექანიზმებიდან დაწყებული სპეციალური საპარლამენტო ღონისძიებებით დამთავრებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მონაწილეობას.

71. რა მექანიზმიც არ უნდა იყოს არჩეული, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს გადაწყვეტილებათა მიღებაზე ზემოქმედების რეალური შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, რისმა შედეგმაც ადეკვატურად უნდა ასახოს მათი მოთხოვნილებები. საკონსულტაციო კომიტეტის აზრით, უბრალო კონსულტაცია, როგორც ასეთი, არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ ეფექტურ მონაწილეობად იქნეს განხილული.

72. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების წარმომადგენლობა და მონაწილეობა არჩევით ორგანოებში, სახელმწიფო ადმინისტრაციაში, საკანონმდებლო და სამართალდამცავ უწყებებში ეფექტური მონაწილეობის არსებითი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. მათი ჩართვა სხვადასხვა დონის არჩევით ორგანოებში მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კონსტიტუციურ ტრადიციებზე და საარჩევნო კანონმდებლობით უზრუნველყოფილ გარანტიებზე. საარჩევნო სისტემის ალტერნატივები და მეთოდები ხშირად პირდაპირ გავლენას ახდენს გადაწყვეტილებათა მიღებაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობის ეფექტურობაზე. საარჩევნო სისტემის ორი ძირითადი ტიპით (მაჟორიტარული და პროპორციული) უზრუნველყოფილი შესაძლებლობების გარდა, შესაძლებელია სპეციალური მექანიზმების შემოღება, როგორიც არის რეზერვირებული ადგილები, კვოტები, კვალიფიციური უმრავლესობა, ორმაგი ხმის ან „ვეტოს“ უფლებები. ამასთან, კულტურული ავტონომიის ღონისძიებებს შეუძლიათ სახელმწიფოს საქმეებში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის გაძლიერება.

73. სპეციალიზებულ სახელისუფლებო სტრუქტურებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე მუშაობენ, თავისი წვლილი შეაქვთ იმის უზრუნველყოფაში, რომ სახელმწიფო პოლიტიკაში ყოველთვის იქნეს გათვალისწინებული ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებები. ამასთან, ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები არ უნდა დარჩეს სპეციალიზებული სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობის ექსკლუზიურ სფეროდ. მათ, ვინც პოლიტიკური კურსის შემუშავებაზე მუშაობს, ყველა დონეზე და ყველა პროცედურული ნაბიჯის საშუალებით უნდა გაითვალისწინონ ეროვნულ უმცირესობათა პერსპექტივა საერთო პოლიტიკაში.

74. მედიამ ფართო საზოგადოებას უნდა გააცნოს ეროვნული უმცირესობების პრობლემები ტოლერანტობის სულისკვეთებისა და კულტურათაშორისი დიალოგის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით.

ა) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესებში

i. პოლიტიკური პარტიები

75. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი თითოეული პირის მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლება, განსაზღვრული ჩარჩო კონვენციის მე-7 მუხლით, *inter alia,* გულისხმობს პოლიტიკური პარტიების და/ან ორგანიზაციების შექმნის უფლებას. კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს პოლიტიკური პარტიების შექმნას ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით, შეუძლია ამ უფლების არასასურველი შეზღუდვა გამოიწვიოს. ყოველგვარი შეზღუდვა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში განსაზღვრულ პრინციპებს.[23]

76. ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია შესაძლოა გარკვეულ პირობებს დაექვემდებაროს. ამასთან, ამგვარი მოთხოვნები ისე უნდა განისაზღვროს, რომ მათ არაგონივრულად ან დისპროპორციულად არ შეზღუდონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მიერ მსგავსი ორგანიზაციების შექმნის შესაძლებლობა და ამით არ შეაფერხონ მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ეს, *inter alia,* ეხება რეგისტრაციისთვის საჭირო რიცხობრივ და გეოგრაფიულ პირობებსაც.[24]

77. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პარტიებს, რომლებიც წარმოადგენენ ან თავიანთ რიგებში აერთიანებენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს, ადეკვატური შესაძლებლობა ჰქონდეთ საარჩევნო კამპანიების წარმოების დროს. ეს შეიძლება გულისხმობდეს საარჩევნო პროპაგანდის წარმოებას ეროვნულ უმცირესობათა ენებზე. გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა

[23] ადამინის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი, რომელიც მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლებას უზრუნველყოფს, განსაზღვრავს, რომ ამ უფლებების განხორციელება არ უნდა შეიზღუდოს, თუ ეს კანონით არ არის გათვალისწინებული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის არ არის საჭირო სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე არეულობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად ან ადამიანების სხვა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად.

[24] იხილეთ, მაგალითად, მოლდოვის შესახებ მე-2 დასკვნა, მიღებული 2004 წლის 9 დეკემბერს, პუნქტები 74-77, რუსეთის ფედერაციის შესახებ მე-2 დასკვნა, მიღებული 2006 წლის 11 მაისს, 261-ე პუნქტი, და პირველი დასკვნა ბულგარეთის შესახებ, მიღებული 2004 წლის 27 მაისს, პუნქტები 61-63.

უნდა იფიქრონ საარჩევნო კამპანიის წარმოების დროს ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე საზოგადოებრივი მაუწყებლობის ტელევიზიით და რადიოპროგრამებით, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენებზე და სხვა საარჩევნო მასალებზე, ისეთ რეგიონებში, სადაც ტრადიციულად ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები ცხოვრობენ ან მათი მნიშვნელოვანი რაოდენობაა.[25]

78. პოლიტიკურ პარტიებს, როგორც მოსახლეობის უმრავლესობის წარმომადგენლების, ასევე ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მიერ ფორმირებულს, მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ შეასრულონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის ხელშეწყობაში. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ძირითად პოლიტიკურ პარტიებში ჩართვა ყოველთვის არ ნიშნავს უმცირესობათა ინტერესების ეფექტურად წარმოდგენას.

79. ისეთ ქვეყნებში, სადაც ეროვნულ უმცირესობათა თვალსაჩინო პარტიები არსებობს, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ, სურვილისამებრ, ეროვნულ უმცირესობათა სხვა პარტიებსა თუ პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც შეეძლოთ იმავე ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ინტერესების წარმოდგენა.

ii. საარჩევნო სისტემების შემუშავება სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე

80. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობას საარჩევნო პროცესებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული უმცირესობებისთვის საშუალების მისაცემად, გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, როდესაც მათთან დაკავშირებით საკანონმდებლო ზომებს იღებენ ან პოლიტიკური კურსის შემუშავება ხდება.

81. იმის გათვალისწინებით, რომ წევრი სახელმწიფოები დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას თავიანთი საარჩევნო სისტემების შესახებ, საკონსულტაციო კომიტეტმა ხაზი გაუსვა სახელმწიფოს პოლიტიკურ დღის წესრიგში ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების შეტანის მნიშვნელობას. ამის მიღწევა შეიძლება ან ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ყოფნით არჩევით ორგანოებში და/ან მათი პრობლემების შეტანით არჩევითი ორგანოების დღის წესრიგში.

82. საკონსულტაციო კომიტეტმა აღნიშნა, რომ როდესაც საარჩევნო კანონებით გათვალისწინებულია საარჩევნო ბარიერი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამის პოტენციურად უარყოფითი გავლენა ეროვნულ უმცირესობათა საარჩევნო პროცესში

[25] იხილეთ, მაგალითად, ესტონეთის შესახებ პირველი დასკვნა, მიღებული 2001 წლის 14 სექტემბერს, 55-ე და 56-ე პუნქტები, რუსეთის ფედერაციის შესახებ მე-2 დასკვნა, მიღებული 2006 წლის 11 მაისს, 261-ე პუნქტი, და პირველი დასკვნა ბულგარეთის შესახებ, მიღებული 2004 წლის 27 მაისს, პუნქტები 61-63.

მონაწილეობაზე.[26] საარჩევნო ბარიერის მოთხოვნიდან გამონაკლისების გაკეთება სასარგებლო აღმოჩნდა არჩევით ორგანოებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობის წასახალისებლად.

83. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობის კონსტიტუციური გარანტიები უნდა იყოს შეხამებული განხორციელების შესახებ ეფექტიან კანონმდებლობასთან და გონივრულ დროში გატარებულ თანმხლებ ზომებთან.[27] საკონსულტაციო კომიტეტს არსებითად მიაჩნია, რომ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები მონაწილეობდნენ ან მათგან კონსულტაციას იღებდნენ ამგვარი კანონმდებლობის შექმნის დროს და მისი განხორციელების მონიტორინგის პროცესში.

84. წევრ სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, განამტკიცონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების, მათ შორის არახელსაყრელ პირობებში მყოფი პირების, მონაწილეობა ადგილობრივ არჩევით საბჭოებში. ამ თვალსაზრისით საკონსულტაციო კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს შესაძლო უარყოფით ზემოქმედებას, რაც ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე შეიძლება მოახდინოს ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებულმა გარკვეულმა მოთხოვნებმა.[28]

85. შესაძლებელია, შემუშავდეს არჩევით ორგანოებში ქალების დაბალანსებული წარმომადგენლობის ხელშეწყობისკენ მიმართული საარჩევნო დებულებები, რაც დადებით გავლენას იქონიებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ქალების მონაწილეობაზე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

86. ღონისძიებების რა ფორმაც არ უნდა იყოს არჩეული, სასურველია, რომ ჩატარდეს პერიოდული შემოწმებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების და ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების საჭიროებების ადეკვატური ასახვა.

87. იქ, სადაც არსებული პრაქტიკის პირობებში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებს ეზღუდებათ არჩევით ორგანოებში მონაწილეობის შესაძლებლობა, განხილული უნდა იქნეს ალტერნატიული არხები, როგორიც არის საგანგებო ღონისძიებები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის ხელშესაწყობად, მათი მონაწილეობის გაძლიერების მიზნით.[29]

---

[26] იხილეთ, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის შესახებ მე-2 დასკვნა, მიღებული 2006 წლის 11 მაისს, 262-ე პუნქტი, და პირველი დასკვნა სერბეთის და მონტენეგროს შესახებ, მიღებული 2003 წლის 27 ნოემბერს, 102-ე პუნქტი.

[27] იხილეთ, მაგალითად, პირველი დასკვნა უნგრეთის შესახებ, მიღებული 2004 წლის 9 დეკემბერს, 48-ე პუნქტი.

[28] იხილეთ, მაგალითად, მე-2 დასკვნა ირლანდიის შესახებ, მიღებული 2006 წლის 6 ოქტომბერს, 104-ე პუნქტი.

[29] იხილეთ, მაგალითად, მე-2 დასკვნა დანიის შესახებ, მიღებული 2004 წლის 9 დეკემბერს, 154-ე პუნქტი.

iii. ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო საზღვრები

88. ელექტორატის შეცვლას არასასურველი გავლენა შეუძლია მოახდინოს ღონისძიებებზე, რომლებიც მიზნად ისახავს, უზრუნველყოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, არჩევითი ორგანოების ჩათვლით, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობა. როდესაც ელექტორატის შეცვლისკენ მიმართული რეფორმები განიხილება, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამით ზიანი არ მიადგეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების არჩევის შესაძლებლობას.[30]

89. როდესაც განიხილება ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლისკენ მიმართული რეფორმები, სახელისუფლებო უწყებებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებთან და კარგად გაიაზრონ ამგვარი რეფორმის პოტენციური ზემოქმედება მათ მონაწილეობაზე საზოგადოებრივ საქმიანობაში.[31]

90. ნებისმიერ შემთხვევაში წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა გაატარონ ისეთი ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს, შეამციროს იმ ტერიტორიების მოსახლეობის წილი, რომლებიც ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებით არის დასახლებული, ან შეზღუდოს ჩარჩო კონვენციით დაცული უფლებები.[32] ამის საპირისპიროდ ადმინისტრაციული რეფორმები ასეთ ტერიტორიებზე მიზნად უნდა ისახავდეს, *inter alia*, გაზარდოს ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის შესაძლებლობა.

iv. რეზერვირებული ადგილების სისტემა

91. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის გასააქტიურებლად რიგ შემთხვევაში სასარგებლო აღმოჩნდა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისთვის რეზერვირებული და/ან საერთო ადგილების გამოყოფისკენ მიმართული ღონისძიებები. რეზერვირებული ადგილების გამოყოფა, იქნება ეს საერთო ადგილები სხვადასხვა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის თუ ერთი ჯგუფისთვის, ერთ-ერთი გზაა, რომლითაც შეიძლება უზრუნველვყოთ არჩევით ორგანოებში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების წარმომადგენლობა.

---

[30] იხილეთ, მაგალითად, მე-2 დასკვნა სლოვაკეთის რესპუბლიკის შესახებ, მიღებული 2005 წლის 26 მაისს, 115-ე პუნქტი, და პირველი დასკვნა უკრაინის შესახებ, მიღებული 2002 წლის 1 მარტს, 69-ე პუნქტი.

[31] იხილეთ, მაგალითად, პირველი დასკვნა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის მაკედონიის შესახებ, მიღებული 2004 წლის 27 მაისს, 103-ე პუნქტი.

[32] იხილეთ ჩარჩო კონვენციის მე-16 მუხლი.

92. „საერთო ადგილების“ სისტემა განსაკუთრებით მიესადაგება მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებებს. იმისათვის, რომ ასეთმა ზომამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საერთო ადგილით (ადგილებით) წარმოდგენილი ყველა ეროვნული უმცირესობის მონაწილეობაზე, ისინი უნდა შეთანხმდნენ საერთო სტრატეგიასა და მიზნებზე, რომლებსაც შესაბამის არჩევით ორგანოში წარმომადგენლობით უნდა მიაღწიონ. არჩეული წარმომადგენლები, რომლებსაც საერთო ადგილები უკავიათ, ყველა ღონეს უნდა ხმარობდნენ, რათა წარმოადგინონ მათ ელექტორატში არსებული ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ყველა პირის პრობლემები. სხვადასხვა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა როტაციამ შესაძლოა ხელი შეუწყოს „საერთო ადგილის“ გრძნობის გაჩენას.

93. იმისათვის, რომ რეზერვირებულმა ადგილმა უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ქმედითი მონაწილეობა, საჭიროა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩაბმული გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში. უფრო მეტიც, მათ არჩევითი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის რეალური შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მათ არჩევით ორგანოში ლაპარაკისა და ხმის მიცემის უფლება ჰქონდეთ და მათი როლი მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით არ შემოიფარგლებოდეს.[33]

94. თუმცა საკონსულტაციო კომიტეტს მიაჩნია, რომ ამგვარი ღონისძიებების უბრალოდ განსაზღვრა ავტომატურად არ უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ჭეშმარიტ და არსებითი ხასიათის ზემოქმედებას გადაწყვეტილებების მიღებაზე.[34]

v. საპარლამენტო პრაქტიკა

95. იმ წევრ სახელმწიფოებში, სადაც ეროვნულ უმცირესობათა საკითხების სპეციალური საპარლამენტო კომიტეტები არსებობს, ამ ორგანოებმა რიგ შემთხვევებში უზრუნველყვეს ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების გათვალისწინება გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ამ კომიტეტებში ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების შესაძლებლობა განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა. ამასთან, არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი ეფექტური მონაწილეობის მნიშვნელობა სხვა საპარლამენტო კომიტეტებშიც, რომლებიც ჩართული არიან ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ზოგიერთ ასპექტში. პარტიული ხაზით თანამშრომლობა საპარლამენტო კომიტეტის შიგნით უფრო ეფექტურს ხდის ეროვნულ უმცირესობათა საკითხების პოლიტიკურ კურსში გათვალისწინების ძალისხმევას.

[33] იხილეთ პირველი დასკვნა კვიპროსის შესახებ, მიღებული 2006 წლის 6 აპრილს, 41-ე პუნქტი.
[34] იხილეთ, მაგალითად, დასკვნა კოსოვოს (UNMIK) შესახებ, მიღებული 2006 წლის 25 ნოემბერს, 110-ე პუნქტი.

96. ასეთი კომიტეტების მუშაობა რომ შედეგიანი იყოს, საჭიროა სათანადო ყურადღება დაეთმოს მათ რეკომენდაციებს, განსაკუთრებით, როდესაც ეროვნულ უმცირესობათა შესახებ კანონი იწერება ან მისი შესწორება ხდება. გარდა ამისა, რეგულარული დიალოგი უნდა წარმოებდეს კომიტეტებს და სათანადო თანამდებობის პირებს შორის, აგრეთვე მათსა და ეროვნულ უმცირესობათა გაერთიანებებს შორის.

vi. „ვეტოს“ უფლებები

97. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ პარლამენტის წევრებს აქვთ „ვეტოს ტიპის“ უფლება კანონპროექტებზე, რომლებიც უშუალოდ მათ ეხება. ეს მექანიზმი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს გარკვეულ ვითარებაში და ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ იმისთვის შემოიღო, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შეძლებოდათ მიეღოთ ან უარეყოთ უშუალოდ მათთან დაკავშირებული საკითხების ამსახველი კანონმდებლობა.

98. საკონსულტაციო კომიტეტმა ამასთან ერთად აღნიშნა, რომ ვეტოს უფლება, ჩვეულებრივ, შეიძლება განხორციელდეს ისეთი იურიდიული აქტების მიმართ, რომლებიც *ექსკლუზიურად* ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა უფლებებს და სტატუსს ეხება.[35] შესაბამისად, ეს შეიძლება არასაკმარისი იყოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სათანადო ჩართულობის უზრუნველსაყოფად ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც მათ უშუალოდ ან ექსკლუზიურად არ ეხება.

99. არსებობს ისეთი ეჭვებიც, რომ ზოგიერთ საკითხზე „ვეტოს“ უფლების ასეთ სისტემას ან „კვაზი-ვეტოს“ უფლებას გარკვეულ ვითარებაში შეუძლია სახელმწიფო ინსტიტუტების პარალიზება გამოიწვიოს.[36] ასეთ შემთხვევებში „ვეტოს“ სისტემის შემცვლელი ან შემავსებელი სხვა და/ან დამატებითი გზები უნდა გამოიძებნოს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, რათა მათ შეძლონ საკანონმდებლო პროცესებში თავიანთი შეხედულებების გამოხატვა.

vii. მოქალაქეობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

100. მოქალაქეობა მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელსაც არსებითი გავლენა შეუძლია მოახდინოს საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მოქალაქეობასთან დაკავშირებულმა მოთხოვნებმა შეიძლება შეაფერხოს ეფექტური მონაწილეობა საზოგადოებრივი საქმიანობის გარკვეულ სფეროებში. როდესაც პერსონალურ დონეზე ჩარჩო კონვენციის გამოყენებას აანალიზებდა, საკონსულტაციო კომიტეტმა ზოგიერთ შემთხვევაში წევრ სახელმწიფოებს პოზიციის

[35] იხილეთ პირველი დასკვნა სლოვენიის შესახებ, მიღებული 2002 წლის 12 აპრილს, 71-ე პუნქტი.
[36] იხილეთ პირველი დასკვნა ბოსნიის და ჰერცეგოვინის შესახებ, მიღებული 2004 წლის 27 მაისს, მე-100 და 101-ე პუნქტები.

მოქნილობისა და გაღრმავებისკენ მოუწოდა.[37] უფრო მეტიც, საკონსულტაციო კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩარჩო კონვენციის გამოყენებას მოქალაქეობის არმქონე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ შეუძლია გააძლიეროს ტოლერანტობის სულისკვეთება, კულტურათაშორისი დიალოგი და თანამშრომლობა.

101. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესება კანონიერია, როდესაც საქმე ეხება მათ უფლებას, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და თავად იყარონ კენჭი, ასეთი შეზღუდვები არ უნდა იქნეს გამოყენებული იმაზე უფრო ფართოდ, ვიდრე ეს აუცილებელია. რამდენადაც მოთხოვნა მოქალაქეობის შესახებ საპარლამენტო არჩევნებზე ვრცელდება, წევრ სახელმწიფოებს ვურჩევთ, მისცენ მოქალაქეობის არმქონე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს კულტურული ავტონომიების ადგილობრივი და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის და თავიანთი კანდიდატურების წამოყენების შესაძლებლობა.[38] მოქალაქეობა არ უნდა იყოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის წინაპირობა, რომ პროფკავშირის ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრები გახდნენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წევრი სახელმწიფოებისათვის, სადაც მოქალაქეობის პოლიტიკა ხშირად იცვლება.

viii. ენის ცოდნის მოთხოვნა

102. ენის ცოდნის მოთხოვნა, დაწესებული საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნებისთვის, არ შეესაბამება ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლს. ეს უარყოფით გავლენას ახდენს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტურ მონაწილეობაზე საზოგადოებრივ საქმიანობაში.[39]

ბ) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა სპეციალიზებული სამთავრობო ორგანოების საშუალებით

103. სპეციალიზებული სამთავრობო სტრუქტურების შექმნა სახელმწიფო, რეგიონული ან ადგილობრივი ორგანოების დონეზე, რომლებიც ეროვნული უმცირესობების პრობლემებზე მუშაობენ, ხელს უწყობს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სადაც ასეთი ორგანოები არ არსებობს, წევრ სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, შექმნან ისინი ან, სულ მცირე, საჯარო სამსახურებში განსაზღვრონ საკონტაქტო ერთეულები ეროვნულ უმცირესობათა საქმეებთან დაკავშირებით.

---

[37] იხილეთ, აგრეთვე, შენიშვნები ჩარჩო კონვენციის 3 მუხლთან დაკავშირებით ამ კომენტარის დანართში.

[38] იხილეთ, მაგალითად, პირველი დასკვნა ესტონეთის შესახებ, მიღებული 2001 წლის 14 სექტემბერს, 55-ე პუნქტი.

[39] იხილეთ პირველი დასკვნა ესტონეთის შესახებ, 55-ე პუნქტი.

104. სპეციალიზებულმა ორგანოებმა კი არ უნდა შეცვალონ, არამედ უნდა შეავსონ ეროვნულ უმცირესობათა საკონსულტაციო მექანიზმები. მათი ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საკონსულტაციო ორგანოებთან კოორდინაციასა და მათ შევსებაზე. ამგვარი სპეციალიზებული ორგანოების კადრების შერჩევა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირთა და/ან მათი ენის მცოდნეთა შორის და მათი შენარჩუნება ასეთი ორგანოების ეფექტურ ფუნქციონირებას შეუწყობს ხელს.

105. სპეციალიზებულმა სამთავრობო ორგანოებმა არ უნდა ჩაანაცვლონ ძირითადი სამთავრობო ინსტიტუტების მუშაობა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. სპეციალიზებული ორგანოების როლი გამოიხატება ეროვნული უმცირესობების დაცვის სფეროში სამთავრობო პოლიტიკის ინიცირებასა და კოორდინაციაში. შესაბამისად, მათ ხელისუფლებასა და უმცირესობებს შორის მნიშვნელოვან საკომუნიკაციო არხად მიიჩნევენ. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სათანადო სამთავრობო ინსტიტუტებმა იცოდნენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების პრობლემები და ეს გათვალისწინებული იყოს სხვა სამთავრობო სამსახურების მუშაობაში.[40]

გ) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა საკონსულტაციო მექანიზმების საშუალებით

i. საკონსულტაციო მექანიზმების შექმნა

106. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებთან კონსულტაციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არის გათვალისწინებული ღონისძიებები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების პარლამენტში და სხვა არჩევით ორგანოებში მონაწილეობის წასახალისებლად. თუმცა მხოლოდ კონსულტაცია არ ქმნის საკმარის მექანიზმს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის.

107. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ საკონსულტაციო ორგანოებს გარკვეული იურიდიული სტატუსი ჰქონდეთ და მათთან კონსულტაციის გავლის ვალდებულება კანონით იყოს განმტკიცებული, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობა რეგულარული და მუდმივი ხასიათის იყოს. მაშინ, როდესაც ამგვარი სტრუქტურების ფუნქციონირების უამრავი მოდელი არსებობს,[41] მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი წესები საკმარისად დეტალური იყოს და უზრუნველყოფდეს ეფექტიან და თანმიმდევრულ კონსულტაციებს.

---

[40] იხილეთ, მაგალითად, მე-2 დასკვნა სომხეთის შესახებ, მიღებული 2006 წლის 12 მაისს, 122-ე პუნქტი.

[41] იხილეთ, აგრეთვე ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხების მთავრობათაშორისი ექსპერტთა ჯგუფის (DH-MIN) სახელმძღვანელო უმცირესობათა საკონსულტაციო მექანიზმებთან დაკავშირებით (www.coe.int/minorities).

108. ხელისუფლებას შეუძლია, აგრეთვე, ორგანიზება გაუწიოს ერთობლივ კონსულტაციებს სხვადასხვა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებთან და/ან პირდაპირი დიალოგი გამართოს კონკრეტული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებთან. მაშინ, როდესაც ამ ორიდან პირველი მნიშვნელოვანი მეთოდია საერთო პრობლემების მოსაგვარებლად და დიალოგის გასაღრმავებლად სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობასთან, უკანასკნელი გამოდგება, მაგალითად, ისეთი პრობლემების განსახილველად, რომლებიც კონკრეტულ ეროვნულ უმცირესობას ეხება. საკონსულტაციო კომიტეტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კონსულტაციების მხოლოდ ეროვნულ უმცირესობათა ხელმძღვანელ ორგანიზაციებთან გავლა არ არის საკმარისი ცალკეულ ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების სათანადოდ გასათვალისწინებლად.

ii. საკონსულტაციო მექანიზმების წარმომადგენლობა

109. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს საკონსულტაციო ორგანოების შემადგენლობას და წარმომადგენლობას. ეს, *inter alia*, გულისხმობს, რომ თუ აღნიშნული ორგანოები შერეული შემადგენლობისაა, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებსა და ოფიციალურ პირებს შორის პროპორცია არ უნდა უზრუნველყოფდეს ამ უკანასკნელთა დომინირებას მუშაობის პროცესში. ყველა ეროვნული უმცირესობა უნდა იყოს წარმოდგენილი, მათ შორის მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობებიც.[42]

110. საკონსულტაციო ორგანოების წარმომადგენლობა დამოკიდებულია, აგრეთვე, ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებსა და მათი დანიშვნის პროცედურებზე. ამასთან, როდესაც კონკრეტულ ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით კონკრეტული საკონსულტაციო მექანიზმების განსაზღვრა ხდება, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მრავალფეროვნებას თავად ჯგუფში.[43]

111. იმისათვის, რომ საკონსულტაციო ორგანოები სანდო იყოს, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მათი დანიშვნის პროცედურები გამჭვირვალე იყოს და ეროვნულ უმცირესობებთან მჭიდრო კონსულტაციით შეიქმნას. წევრ სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, პერიოდულად გადახედონ დანიშვნის პროცედურებს, რათა აღნიშნული ორგანოები მაქსიმალურად წარმომადგენლობითი იყოს, ინარჩუნებდეს დამოუკიდებლობას მთავრობისაგან და რეალურად წარმოადგენდეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების შეხედულებათა ფართო სპექტრს. მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ქალების ჩართულობა საკონსულტაციო ორგანოებში.

---

[42] იხილეთ, მაგალითად, მე-2 დასკვნა ირლანდიის შესახებ, მიღებული 2006 წლის 6 ოქტომბერს, 112-ე პუნქტი.

[43] იხილეთ, მაგალითად მე-2 დასკვნა გერმანიის შესახებ, მიღებული 2006 წლის 1 მარტს, 152-ე პუნქტი.

112. კონსულტაცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს იმ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების პრობლემებით, რომლებიც ისეთ ადგილებში ცხოვრობენ, სადაც ტრადიციულად სახლობენ ეროვნული უმცირესობები ან მათი დიდი რაოდენობა. ეს იმასაც გულისხმობს, რომ დღის წესრიგი არ უნდა ასახავდეს მხოლოდ ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობის პრობლემებს.

iii. საკონსულტაციო მექანიზმების ტიპები

113. მართალია, საგანგებო კონსულტაციები შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს კონკრეტული საკითხის მოსაგვარებლად, წევრ სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, დააარსონ რეგულარული საკონსულტაციო მექანიზმები და ორგანოები, რათა მოხდეს მთავრობებსა და უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის დიალოგის ინსტიტუციონალიზაცია.[44]

114. სადაც საჭიროა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებთან საკონსულტაციო მექანიზმები არ უნდა გამორიცხავდეს პარალელურ კონსულტაციას დამოუკიდებელ ექსპერტებთან. საკონსულტაციო კომიტეტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საექსპერტო შემოწმება საკონსულტაციო პროცედურის სასარგებლო შემავსებელია.

115. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო სტრუქტურების გარდა სასარგებლო დამატებითი არხი აღმოჩნდა რეგიონული და ადგილობრივი საკონსულტაციო მექანიზმები, რაც გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობას უზრუნველყოფს, განსაკუთრებით უფლებამოსილების ისეთ სფეროებში, სადაც გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების დეცენტრალიზაცია ხდება. ასეთ სიტუაციებში მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა და რეგიონული დონის ოფიციალურმა პირებმა რეგულარულად ჩართონ ეს საკონსულტაციო ორგანოები გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, როდესაც საქმე უმცირესობებს ეხება.[45]

iv. საკონსულტაციო ორგანოების როლი და ფუნქციონირება

116. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საკონსულტაციო ორგანოების იურიდიული სტატუსი, როლი, მოვალეობები, წევრობა და ინსტიტუციური მდგომარეობა მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული. ეს მოიცავს კონსულტაციის ფარგლებს, სტრუქტურებს, წევრების დანიშვნისა და მუშაობის მეთოდებს. საჭიროა იმის უზრუნველყოფა, რომ საკონსულტაციო ორგანოებს იურიდიული სტატუსი

[44] იხილეთ, მაგალითად, მე-2 დასკვნა ფინეთის შესახებ, მიღებული 2006 წლის 2 მარტს, 148-დან 151-ე პუნქტამდე

[45] იხილეთ, მაგალითად, მე-2 დასკვნა ჩეხეთის რესპუბლიკის შესახებ, მიღებული 2005 წლის 24 თებერვალს, 171-ე და 172-ე პუნქტები.

ჰქონდეთ, რადგან ამის არარსებობას შეუძლია ძირი გამოუთხაროს მათ ეფექტურობას და მისიის ქმედით შესრულებას მათ მიერ. საკონსულტაციო ორგანოების სამუშაო მეთოდები გამჭვირვალე უნდა იყოს, ხოლო მათი პროცედურული წესები - მკაფიოდ ჩამოყალიბებული. საჭიროა საკონსულტაციო ორგანოების მუშაობის პოპულარიზაცია, რაც მათ გამჭვირვალობას შეუწყობს ხელს.

117. წევრ სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, გაატარონ ზომები ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისთვის ამგვარი საკონსულტაციო ორგანოების არსებობის, მანდატის და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ორგანოების შეხვედრები ხშირად და რეგულარულად ჩატარდეს.[46]

118. ეროვნულ უმცირესობებთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული კანონპროექტის, მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებების, მომზადების დროს საჭიროა საკონსულტაციო ორგანოებთან კონსულტაციის გავლა. წევრმა სახელმწიფოებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ, აგრეთვე, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებთან და მათ საკონსულტაციო სტრუქტურებთან იმ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრეულებებიდან გამომდინარეობს, მათ შორის მათთვის საინტერესო ანგარიშგების ვალდებულებებთან დაკავშირებით.

119. საჭიროა გამოიყოს სათანადო რესურსები საკონსულტაციო მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირებისთვის.[47]

დ) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების წარმომადგენლობა და მონაწილეობა სახელმწიფო ადმინისტრაციის, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში

120. სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანოებში შეძლებისდაგვარად ასახული უნდა იყოს საზოგადოების მრავალფეროვნება. ეს გულისხმობს იმას, რომ წევრი სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, გამონახონ გზები, რათა ხელი შეუწყონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების დასაქმებას სახელმწიფო სექტორში, მათ შორის მათ დასაქმებას სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებში. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობას სახელწიფო ადმინისტრაციაში ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს ამ უკანასკნელს, რომ უკეთ დააკმაყოფილოს ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებები.[48]

---

[46] იხილეთ, მაგალითად, პირველი დასკვნა უკრაინის შესახებ, მიღებული 2002 წლის 1 მარტს, 72-ე პუნქტი, და პირველი დასკვნა აზერბაიჯანის შესახებ, მიღებული 2003 წლის 22 მაისს, 73-ე და 74-ე პუნქტები.

[47] იხილეთ, აგრეთვე, შენიშვნები ქვემოთ მოცემულ 137-ე და 138-ე პუნქტებში.

[48] იხილეთ, მაგალითად, პირველი დასკვნა გაერთიანებული სამეფოს შესახებ, მიღებული 2001 წლის 30 ნოემბერს, 96-99 პუნქტები.

121. ერთ-ერთი გზა ამ მიზნის მისაღწევად არის სამართლებრივი ბაზის მომზადება ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სახელწიფო ადმინისტრაციის ორგანოებში დასაქმების ხელშეწყობისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი გარანტიების პარალელურად განისაზღვროს განხორციელების ადეკვატური ზომები.

122. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხელი შეეწყოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების დასაქმებას სასამართლო ორგანოებში და მართლმსაჯულების აღსრულების სისტემაში. ქმედებები ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ სრულად იყოს უზრუნველყოფილი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ეფექტური ფუნქციონირება.[49]

123. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ისეთი ზომები, რომელთა მიზანია მკაცრი, მათემატიკურად ზუსტი თანასწორობის მიღწევა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობაში, რაც ხშირად გულისხმობს პოზიციათა არასაჭირო მატებას. ასეთი ქმედებებით შესაძლოა საფრთხე შეექმნას სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტურ ფუნციონირებას და საჭირო გახდეს ცაკლე სტრუქტურების შექმნა საზოგადოებაში.

124. ბოშები, ადგილობრივად მკვიდრი ხალხები და რიცხობრივად მცირე ეროვნული უმცირესობები ხშირად განსაკუთრებით მცირე რაოდენობით არიან დასაქმებულნი სახელწიფო ადმინისტრაციის ორგანოებში და ეს საკითხი მოითხოვს საგანგებო ყურადღებას ხელისუფლების მხრიდან. მათ დასაქმებას სახელმწიფო ადმინისტრაციაში შეუძლია წვლილი შეიტანოს ზოგადად საზოგადოებაში ასეთი უმცირესობების იმიჯის გაუმჯობესებასა და მათ შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, რაც, თავის მხრივ, გაზრდის მათ მონაწილოებას ყველა დონეზე.

125. მიზანმიმართული ზომები შეიძლება დაისახოს გარკვეულ ეროვნულ უმცირესობათა, მათ შორის ყველაზე გარიყულთა, დასაქმების პრაქტიკაში წარსულში არსებული უთანასწორობის კონკრეტული შემთხვევების გამოსწორების მიზნით. ამაში მოიაზრება ის, რომ საჭიროა ყველა თანამშრომელი იყოს სათანადოდ მომზადებული და კომპეტენტური, რათა ეფექტურად შეასრულოს თავისი სამუშაო.[50]

126. სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანოების პერსონალის მიმართ არსებული სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნები არ უნდა სცდებოდეს კონკრეტული პოზიციის ან სამსახურისთვის საჭირო დონეს. მოთხოვნები, რომლებიც არასამართლიანად ზღუდავს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ხელმისაწვდომობას სახელმწიფო ადმინისტრაციაში დასაქმების შესაძლებლობებისადმი, არ შეესაბამება ჩარჩო კონვენციით დადგენილ სტანდარტებს.[51] საჭიროების შემთხვევაში

[49] იხილეთ, მაგალითად, მე-2 დასკვნა ხორვატიის შესახებ, მიღებული 2004 წლის 1 ოქტომბერს, პუნქტები 154-159.

[50] იხილეთ ასევე შენიშვნები ზემოთ მოცემულ 36-ე და 37-ე პუნქტებში.

[51] იხილეთ, მაგალითად, პირველი დასკვნა აზერბაიჯანის შესახებ, მიღებული 2003 წლის 22 მაისს, 79-ე პუნქტი.

მიზანმიმართული დახმარება უნდა იქნეს გაწეული, რათა კანდიდატებს ან პერსონალს ეროვნული უმცირესობებიდან ხელი შეეწყოთ ოფიციალური ენის შესწავლაში.

127. სრულყოფილი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები აუცილებელია, რათა შეფასდეს, თუ რა ზეგავლენას ახდენს დასაქმება, დაწინაურება და სხვა მსგავსი ნაბიჯები საჯარო სამსახურებში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობაზე. ისინი საჭიროა იმისათვის, რომ დაისახოს ადეკვატური საკანონმდებლო და პოლიტიკური ზომები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობაზე ინფორმაციის შეგროვება უნდა განხორციელდეს პირადი მონაცემების დაცვასთან[52] დაკავშირებით არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ისევე, როგორც ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ყველა პირის უფლების დაცვით, რომ თავისუფლად აირჩიოს, განიხილონ თუ არა იგი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლად. შესაბამისი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ჩართულნი უნდა იყვნენ მონაცემთა შეგროვების მთელ პროცესში, ხოლო მონაცემთა შეგროვების მეთოდები უნდა დაიგეგმოს მათთან მჭიდრო თანამშრომლობით.

128. ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობას აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ეფექტური მონაწილეობა შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა საშუალებით, როგორიც არის ისეთი პოზიციების შექმნა, რომლებიც განკუთვნილია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა საფეხურზე. ისეთი ზომები, რომლებიც გამორიცხავს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მიერ საჯარო თანამდებობების დაკავებას, პოტენციურად დისკრიმინაციულია.[53]

ე) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა მმართველობის ქვეეროვნული ფორმების საშუალებით

129. მმართველობის ქვეეროვნულ ფორმებს მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ შეასრულონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის საჭირო პირობების შექმნაში. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ რეგიონებს, რომლებიც კომპაქტურად არის ჩასახლებული ეროვნული უმცირესობებით.

130. იმისათვის, რომ პრაქტიკულად იქნეს უზრუნველყოფილი დეცენტრალიზაციისა და ხელისუფლების გადაცემის პროცესების დადებითი ზეგავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობაზე,

---

[52] იხილეთ ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანთა დაცვის შესახებ პირადი მონაცემების ავტომატური დამუშავებისგან (ETS 108) და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 97 (18) სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული და დამუშავებული პირადი მონაცემების დაცვის შესახებ.

[53] იხილეთ, მაგალითად, პირველი დასკვნა ბოსნია-ჰერცოგოვინის შესახებ, მიღებული 2004 წლის 27 მაისს, 98-ე პუნქტი.

აუცილებელია, მკაფიოდ განისაზღვროს ქვეეროვნული და ცენტრალური სტრუქტურების შესაბამისი კომპეტენციები. სიცხადის ნაკლებობა ამ თვალსაზრისით შეამცირებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობის დონეს და ასევე შესაძლოა შეაფერხოს მათთვის იმ სახელმწიფო სახსრების მისაწვდომობა, რომლებიც მათ თავიანთი საქმიანობისთვის სჭირდებათ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი რესურსებით, რათა ეფექტურად შეძლოს მასზე დაკისრებული დავალებების შესრულება.[54]

131. როდესაც საქმე ეხება მმართველობის ქვეეროვნულ ფორმებთან დაკავშირებულ რეფორმებს, აუცილებელია, რომ მოხდეს დაწვრილებითი ანალიზი მათი ზემოქმედებისა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების დაცვის თვალსაზრისით. ამ მიმართებაში წევრი სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, უზრუნველყონ რეფორმების პროცესში რეგიონული ინსტიტუტების და უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართვის გზები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი ქმედებების პოტენციურად უარყოფით შედეგებს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კუთხით, კერძოდ, მათთვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესებისა და ფინანსური რესურსების მისაწვდომობის თვალსაზრისით.[55]

132. წევრი სახელმწიფოების მიერ დადგენილი ტერიტორიული წყობის მიუხედავად, ცენტრალური ხელისუფლება ერთგული უნდა დარჩეს მასზე დაკისრებული ზოგადი პასუხისმგებლობისა, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო ვალდებულებებიდან და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ბაზიდან, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების სხვადასხვა სფეროში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით წევრი სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, რომ უზრუნველყონ ქვეეროვნული ხელისუფლების მხრიდან იმ ვალდებულებების პატივისცემა, რომლებიც გამომდინარეობს ჩარჩო კონვენციიდან. ხშირად საჭიროა კონკრეტული საინფორმაციო კამპანიების წარმართვა ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე, რათა მიღწეული იქნეს ასეთი შედეგი.

ვ) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა ავტონომიის პირობებით

133. ჩარჩო კონვენცია არ აძლევს პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, უფლებას, ჰქონდეთ ავტონომია, იქნება ის ტერიტორიული თუ კულტურული. მიუხედავად ამისა, საკონსულტაციო კომიტეტმა შეისწავლა ტერიტორიული და კულტურული ავტონომიის პირობების ფუნქციონირება და ზეგავლენა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობაზე იმ წევრ სახელმწიფოებში, სადაც ასეთი არსებობს.

---

[54] იხილეთ ასევე შენიშვნები ზემოთ მოცემულ 138-ე და 139-ე პუნქტებში.

[55] იხილეთ, მაგალითად, დასკვნა კოსოვოს შესახებ (UNMIK), მიღებული 2005 წლის 25 ნოემბერს, 113-ე პუნქტი.

134. საკონსულტაციო კომიტეტმა დაადგინა, რომ იმ წევრ სახელმწიფოებში, სადაც არსებობს ავტონომიის პირობები, რომლებიც წარმოიშვა სპეციფიკური ისტორიული, პოლიტიკური თუ სხვა გარემოებების შედეგად, ამას შეუძლია ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების უფრო ეფექტურ მონაწილეობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

135. საკონსულტაციო კომიტეტმა გამოსცა თავისი შენიშვნები უფრო ვრცლად კულტურული ავტონომიის პირობების შესახებ იმ წევრ სახელმწიფოებში, სადაც ასეთი ავტონომიაა ჩამოყალიბებული. კულტურული ავტონომიის პირობები მიენიჭება კონკრეტული ეროვნული უმცირესობის ყველა წევრს კოლექტიურად, მიუხედავად ტერიტორიისა. მათი ერთ-ერთი მიზანი, გარდა სხვა მიზნებისა, არის ეროვნული უმცირესობის ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების დელეგირება უმცირესობათა კულტურის, ენისა და განათლების სფეროებში. ამ თვალსაზრისით მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ეროვნულ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებას.

136. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ასეთი კულტურული ავტონომიის პირობებს, შესაბამის კონსტიტუციურ და სამართლებრივ დებულებებში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული ავტონომიის სისტემის ხასიათი და მოცულობა და ავტონომიური სტრუქტურების კომპეტენციები. ამასთანავე, შესაბამის კანონმდებლობაში განმარტებული უნდა იყოს მათი იურიდიული სტატუსი, მათსა და სხვა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს შორის ურთიერთობები და, ასევე, სავარაუდო ავტონომიური სისტემის დაფინანსება. მნიშვნელოვანია, რომ პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, იღებდნენ მონაწილეობას და მათი აზრი გათვალისწინებული იყოს ავტონომიური პირობების შესახებ კანონმდებლობის შემუშავებისა და შეცვლის პროცესში.

137. ავტონომიური სტრუქტურებისთვის საარჩევნო სისტემების დაგეგმვისას შესაბამისი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობა პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული. თვითმმართველობის ორგანოებისთვის საარჩევნო სისტემები უნდა უზრუნველყოფდნენ დაცვას შესაძლო დამცირების წინააღმდეგ.[56]

ზ) ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საქმიანობისთვის

138. ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა ეროვნულ უმცირესობათა დაცვაში ჩართული ერთეულებისთვის აუცილებელია, რათა მათ შეძლონ თავიანთი მისიის შესრულება. ეს გულისხმობს დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკონსულტაციო მექანიზმებისთვის, კულტურული ავტონომიის პირობებისა და იმ სახელმწიფო ორგანოებისთვის, რომლებიც მუშაობენ უმცირესობათა საკითხებზე ყველა დონეზე.

[56] იხილეთ, მაგალითად, პირველი დასკვნა უნგრეთის შესახებ, მიღებული 2000 წლის 22 სექტემბერს, 52-ე პუნქტი.

139. გამოყოფილი რესურსები პროპორციული უნდა იყოს იმ ერთეულთა პასუხისმგებლობებისა, რომელთაც შეეხებათ ეს საკითხი. დაფინანსება და საბიუჯეტო გეგმები უმცირესობათა ავტონომიური ერთეულებისთვის ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ არ შესუსტდეს მათი სამოქმედო ავტონომია.[57] საკონსულტაციო ორგანოებიც ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო რესურსებით, მათ შორის პერსონალითა და ფინანსური სახსრებით, რათა ხელი შეუწყონ მათ ეფექტურ მუშაობას. რესურსები მათ ასევე სჭირდებათ იმისათვის, რომ ნაყოფიერად დაამყარონ ურთიერთობა თავიანთ ამომრჩევლებთან და გაუწიონ მონიტორინგი და შეაფასონ მათთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის განხორციელება.

თ) მედია, როგორც ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების საზოგადოებრივ საქმეებში ეფექტური მონაწილეობის წყარო

140. აუცილებელია, რომ საზოგადოება სათანადოდ იყოს ინფორმირებული იმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, რაც ასევე უნდა იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გაკეთებული რეპორტაჟების საგანი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ როგორც მასობრივი ინფორმაციის ცენტრალურმა საშუალებებმა, ისე უმცირესობათა მედიამ შეასრულოს მთავარი როლი ამ პროცესში არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის საშუალებით, არამედ ტოლერანტულობის პრინციპის პროპაგანდირებით.[58] ამავე დროს, თავიდან უნდა იქნეს აცილებული უმცირესობათა საკითხების ზედმეტად პოლიტიზირება მედიის საშუალებით. უფრო მეტიც, მედიას, განსაკუთრებით კი ელექტრონულ მედიას, შეუძლია ხელი შეუწყოს კონსულტაციებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ პირებთან.

141. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა საზოგადოებრივი მაუწყებლების სამეთვალყურეო საბჭოებში, აუდიტორულ საბჭოებში თუ სხვა მედიასთან დაკავშირებულ ორგანოებში, ისევე, როგორც ტექნიკურ ჯგუფებში, აუცილებელია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ადეკვატური ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფისათვის. კერძო სექტორში მოტივაციის შექმნა მაუწყებლობის ეროვნულ უმცირესობათა ენებზე წარმართვისათვის ან ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ თემებზე ხელს შეუწყობს მედიაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მზარდ მონაწილეობას.

[57] იხილეთ, მაგალითად, მე-2 დასკვნა უნგრეთის შესახებ, მიღებული 2004 წლის 9 დეკემბერს, პუნქტები 116-199.
[58] იხილეთ ასევე ზემოთ 68-ე და 74-ე პუნქტები.

ი) ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა ჩარჩო კონვენციის მონიტორინგში

142. ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობას ჩარჩო კონვენციის მონიტორინგის პროცესში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს დაბალანსებული და ხარისხიანი შედეგის მისაღწევად. სახელმწიფო ანგარიშების თუ სხვა წერილობითი შეტყობინებების მომზადებისას, რომლებიც მოთხოვნილია ჩარჩო კონვენციით ან ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, პატივი სცენ ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლით დაცულ პრინციპებს და გაიარონ კონსულტაციები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან. ამ და სხვა კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ისეთი თანამოსაუბრეები, როგორიც არიან საკონსულტაციო ორგანოები, არ იქნენ მიჩნეულნი ერთადერთ თანამოსაუბრეებად, არამედ სახელწიფო სტრუქტურებმა კონსულტაციების პროცესში ასევე მიიწვიონ სხვა მხარეები, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა და/ან არასამთავრობო ორგანიზაციები. საკონსულტაციო კომიტეტი მხარს უჭერს ეროვნულ უმცირესობათა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან გაკეთებული შენიშვნების ჩართვას სახელმწიფო ანგარიშებში, ისევე, როგორც საკონსულტაციო კომიტეტის დასკვნებთან დაკავშირებით გაკეთებულ შენიშვნებში.

143. საკონსულტაციო კომიტეტი ასევე მიესალმება არასამთავრობო პარტნიორების მიერ მომზადებულ ალტერნატიულ ანგარიშებს. ისინი ხშირად წარმოადგენენ ღირებული დამატებითი ინფორმაციის წყაროს. ისინი ასევე წარმოადგენენ არასამთავრობო პარტნიორთა მხრიდან სურვილის მტკიცებულებას, რომ ჩაერთონ კონსტრუქციულ დიალოგში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით.

144. აუცილებელია საკონსულტაციო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და წევრი სახელმწიფოების მიერ საკონსულტაციო კომიტეტის დასკვნათა სრული ტექსტის და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციების მიწოდება ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისა და ფართო საზოგადოებისათვის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე და ფართო მასშტაბით. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ეს და სხვა მონიტორინგის დოკუმენტები, მათ შორის სახელმწიფო ანგარიში, ხელმისაწვდომი იყოს ადგილობრივ ენებზე, რათა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს ჰქონდეთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ პროცესში ინკლუზიური ფორმით.

145. საკონსულტაციო კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, ჩამოაყალიბონ რეგულარული კონსულტაციების სისტემა, რომლის ფარგლებშიც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს მიეცემათ შესაძლებლობა, განიხილონ თავიანთი პრობლემები ჩარჩო კონვენციის მონიტორინგის ციკლებს შორის, იქნება ეს შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის სემინარების ფორმატით თუ სხვა საშუალებებით. აღნიშნულ

დიალოგს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ პრობლემებზე რეაგირების თვალსაზრისით და ასევე ნდობის ამაღლებისათვის ჩარჩო კონვენციის განხორციელებისას. ის ქმნის ტოლერანტულობისა და დიალოგის ატმოსფეროს, რომელიც საშუალებას აძლევს მრავალფეროვნებას, იყოს არა დაყოფის, არამედ ყოველი საზოგადოების გამდიდრების წყარო და ფაქტორი.

ნაწილი IV. დასკვნები

146. წინამდებარე კომენტარი წარმოადგენს საკონსულტაციო კომიტეტის მცდელობას, შეაჯამოს კომიტეტის მიერ ჩარჩო კონვენციის მე-15 და სხვა შესაბამისი მუხლების მისეული ინტერპრეტაცია მათთვის, ვინც მონაწილეობს ხსენებული კონვენციის განხორციელებაში. საბოლოო მიზანი არის, რომ ხელი შეეწყოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების გაზრდილ მონაწილეობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში, ჩარჩო კონვენციის პრონციპების განხორციელების გაუმჯობესებას და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის დახმარების გაწევას, რომ შექმნან უფრო მეტად ინტეგრირებული და უკეთესად ფუნციონირებადი საზოგადოება.

147. საკონსულტაციო კომიტეტის მიერ კონკრეტულ ქვეყნებში გაწეულ მუშაობაზე პირდაპირ და არაპირდაპირ დაყრდნობით კომენტარი აწვდის გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს, სახელმწიფო მოხელეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამეცნიერო წრეებსა და სხვა პარტნიორებს და, რაც მთავარია, თავად ეროვნულ უმცირესობებს შესაძლო ვარიანტების ანალიზს, რომელიც დაეხმარება მათ, გააკეთონ ადეკვატური და გათვითცნობიერებული არჩევანი, როდესაც მუშაობენ კანონმდებლობაზე და პოლიტიკაზე ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის გასაუმჯობესებლად. არჩევანი, რომელიც უნდა გაკეთდეს, უნდა იყოს შეთანხმებული ხელისუფლებასთან და ეროვნულ უმცირესობებთან, თუ გვსურს, რომ ის სტაბილური აღმოჩნდეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არჩევანის გაკეთებისას გათვალისწინებული იყოს მოსახლეობის უმრავლესობის შეხედულებები და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის გავრცელებული ურთიერთობის ფორმა.

148. აშკარაა, რომ სხვადასხვა ეროვნული უმცირესობის შემთხვევაში, ისევე, როგორც წევრ სახელმწიფოებში გაბატონებული სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისად სხვადასხვა გადაწყვეტილება უნდა იქნეს არჩეული. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში განხორციელებული ზომები საკონსუტაციო კომიტეტის მიერ ჩაითვალა ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლის ადეკვატურ განხორციელებად მოცემულ პირობებში. და მაინც, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამა თუ იმ ზომას, რომელიც იწვევს ეფექტურ მონაწილეობას ერთ წევრ ქვეყანაში, აუცილებლად არა აქვს იგივე ეფექტი სხვა კონტექსტში. აქედან გამომდინარე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეაფასონ, საკუთარი შიდა მდგომარეობის გათვალისწინებით, იმ ზომების გამოსადეგობა და ეფექტურობა, რომელთა შედეგადაც სხვაგან გაიზარდა ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის დონე. წინამდებარე კომენტარის ფარგლებში საკონსულტაციო კომიტეტის მიზანია, გამოყოს ის არსებული პრატქიკული გამოცდილება, საიდანაც რაციონალური დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ყველა წევრი სახელმწიფოს სასარგებლოდ.

149. ამასთან ერთად, ის ფაქტი, რომ წევრი სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად მოცემულ პირობებში და მონიტორინგის პროცესის მოცემულ ეტაპზე, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი საკმარისი

იქნება ჩარჩო კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მომავალში. ამიტომ წინამდებარე კომენტარი ასევე არის მცდელობა, დაეხმაროს წევრ სახელწიფოებს, შექმნან პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, სტაბილურად შეძლონ ჩარჩო კონვენციის დებულებების დაკმაყოფილება მომავალში და დასახონ უფრო გრძელვადიანი გეგმები ეროვნული უმცირესობების დაცვასთან და იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმებთან დაკავშირებით, რომელთა მიღწევაც მათ სურთ.

150. უფრო მეტიც, უმცირესობათა და უმრავლესობათა სიტუაციები ერთნაირად განიცდიან მუდმივ ევოლუციას და დროთა განმავლობაში წარმოიშვება ახალი საკითხები. ამ კომენტარში აღნიშნული ზოგიერთი საკითხი, კერძოდ კი სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სფეროში, არ არის სრულად გამოკვლეული და შესწავლილი არც საკონსულტაციო კომიტეტის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობის დროს, არც სხვა მხარეების მიერ, რომლებიც ჩართულნი არიან ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საქმეში. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი საკითხების სპექტრს, რომლებიც განსაკუთრებით შეეხება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ეფექტურ მონაწილეობას. იმ საკითხთა მაგალითები, რომლებიც მოითხოვს შემდგომ შესწავლას, მერყეობს გარემოსდაცვითი პრობლემების ზეგავლენიდან სოციალურად დაუცველი ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობაზე ასეთი პირებისთვის საკრედიტო და საბანკო მომსახურების მისაწვდომობამდე.

151. სხვა საკითხები საჭიროებს გადაფასებას საკონსულტაციო კომიტეტის მიერ მომდევნო მონიტორინგის ციკლებში, როდესაც სახეზე იქნება უფრო გრძელვადიანი პერსპექტივა მათი ზეგავლენისა მონაწილეობაზე. როგორც უკვე აღინიშნა შესავალ შენიშვნებში, წინამდებარე დოკუმენტი განხილული უნდა იქნეს როგორც ცოცხალი ინსტრუმენტი, რომელიც უნდა განვითარდეს ჩარჩო კონვენციის ფარგლებში მონიტორინგის მსვლელობის შესაბამისად.

დანართი
ჩარჩო კონვენციის სხვა მუხლების მნიშვნელობა მე-15 მუხლის ინტერპრეტაციისათვის

მუხლი 3[59]

152. მე-3 მუხლში ჩარჩო კონვენცია ადგენს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების უფლებას, თავისუფლად აირჩიონ, მოექცნენ თუ არა მათ, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს. იმ პირების ჩამონათვალში მოხვერდა, რომლებზეც ვრცელდება ჩარჩო კონვენცია, მნიშვნელოვანია ჩარჩო კონვენციით განსაზვრული უმცირესობათა უფლებებით, მათ შორის ცხოვრების ყველა სფეროში ეფექტური მონაწილეობის უფლებით, სარგებლობისათვის. ჩარჩო კონვენციის გავრცელების პერსონალური არეალის შემოწმებისას საკონსულტაციო კომიტეტი გამუდმებით იძლეოდა რჩევას, რომ წევრ სახელმწიფოებს თავი შეეკავებინათ ჩარჩო კონვენციის დაცვის სფეროდან თვითნებური ან დაუსაბუთებელი გამორიცხვების გაკეთებისაგან და რომ მათ უნდა გამოიყენონ „ინკლუზიური“ მიდგომა. ბევრ შემთხვევაში კომიტეტი მოუწოდებდა წევრ სახელწიფოებს, გადაეხედათ და განეხილათ ჩარჩო კონვენციის პერსონალური გავრცელების არეალის გაფართოების საკითხი, ვინაიდან დროთა განმავლობაში ვითარება იცვლებოდა.

მუხლი 6[60]

153. ჩარჩო კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, წაახალისონ „ტოლერანტულობისა და კულტურათაშორისი დიალოგის ატმოსფერო“ და ხელი შეუწყონ „ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთგაგებას“ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს შორის. როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ,[61] იმ პირების ეფექტური მონაწილეობა ცხოვრების სხვადასხვა

---

[59] 3(1) ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება, თავისუფლად აირჩიოს, მოექცნენ თუ არა მას, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს და დაუშვებელია, რომ ამ არჩევანიდან ან ამ არჩევანთან დაკავშირებული უფლებებით სარგებლობიდან გამომდინარეობდეს რაიმე არახელსაყრელობა.

3(2) პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, შეუძლიათ ინდივიდუალურად, ისევე როგორც სხვებთან ერთად კავშირში, განახორციელონ ის უფლებები და ისარგებლონ იმ თავისუფლებებით, რომლებიც გამომდინარეობენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციით უზრუნველყოფილი პრინციპებიდან

[60] 6(1) მხარეები წაახალისებენ ტოლერანტობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებას და მიიღებენ ეფექტურ ზომებს მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ, განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა.

6(2) მხარეები იღებენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ზომები იმ პირების დასაცავად, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ მუქარას ან დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას ან ძალადობას მათი ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისდა გამო.

[61] იხილეთ 21-ე პუნქტი.

სფეროში, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მნიშვნელოვანი ბერკეტია კულტურათაშორისი დიალოგის გასაღვივებლად.

154. ამავე დროს, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვილი პირების მონაწილეობის ეფექტურობა დამოკიდებულია საზოგადოებაში ურთიერთპატივისცემის, ტოლერანტულობისა და აღიარების ატმოსფეროს არსებობაზე. ამიტომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წევრმა სახელმწიფოებმა მიიღონ ზომები, რათა წაახალისონ კულტურათაშორისი დიალოგი უმრავლესობასა და უმსცირესობებს შორის, ისევე, როგორც სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობას შორის, ხოლო უფრო ზოგადად, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს შორის. ამ კონტექსტში საკონსულტაციო კომიტეტი ხშირად უსვამდა ხაზს პოლიტიკათა ინგეგრაციის მნიშვნელობას, რაც საჭიროა როგორც თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობისათვის, ასევე საზოგადოებაში დაძაბულობის პრევენციისათვის.

155. უფრო მეტიც, საკონსულტაციო კომიტეტი ხშირად ამახვილებდა ყურადღებას ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობის მნიშვნელობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას, როდესაც საკითხი ეხება ზოგადად საზოგადოებაში ეროვნულ უმცირესობათა კულტურის შესახებ ცოდნის ამაღლების ხელშეწყობის ღონისძიებებს. აქ იგულისხმება განათლების სფერო, განსაკუთრებით, როდესაც გადაწყვეტილების მიღება ხდება საგანმანათლებლო მასალებში, მედიაში და კულტურული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული ელემენტების ჩართვაზე.

მუხლი 7[62]

156. წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, უზრუნველყონ პატივისცემა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი ყველა პირის უფლებისა, რომ თავისუფლად შეიკრიბონ მშვიდობიანად და გაერთიანდნენ, როგორც ეს დადგენილია ჩარჩო კონვენციის მე-7 მუხლით. ამაში შედის უფლება, ჩამოაყალიბონ უმცირესობათა გაერთიანებები და პოლიტიკური პარტიები, რაც მონაწილეობის მნიშვნელოვანი ფორმებია. წევრმა სახელწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ რაიმე სახის დაუსაბუთებელი ჩარევისგან ამ უფლების განხორციელებისას და შექმნან პირობები, რითაც საშუალებას მისცემენ ეროვნულ უმცირესობათა გაერთიანებებს და პარტიებს, მიიღონ და ისარგებლონ იურიდიული პირის სტატუსით და იმოქმედონ თავისუფლად. შეკრებისა და გაერთიანების უფლება წარმოადგენს მე-15 მუხლის დებულებებით სარგებლობის წინაპირობას, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ის არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ეფექტური მონაწილეობა.

---

[62] მხარეები უზრუნველყოფენ ყველა იმ პირის მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, აზრის გამოხატვის და რელიგიის თავისუფლების უფლების პატივისცემას, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას.

მუხლი 9[63]

157. მე-9 მუხლის პირველი პუნქტი იცავს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების უფლებას, თავისუფლად მიიღონ და გასცენ ინფორმაცია და აზრები უმცირესობის ენაზე და ამგვარად ჰქონდეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საჯარო დებატებსა და ზოგადად საზოგადოებრივ საქმეებში, განსაკუთრებით მედიის საშუალებით. გარდა ამისა, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ პატივისცემა ეროვნულ უმცირესობათა მიერ მედიის ხელმისაწვდომობაში დისკრიმინაციის აკრძალვისადმი. ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ხელისუფლება ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის მედიის ხელმისაწვდომობას.

158. მედიის ხელმისაწვდომობა და მასში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობა მოიცავს სხვადასხვა მხარეს: მათთვის მედია ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც აუდიტორიის წევრებისთვის, როგორც მედია საშუალებების მფლობელებისთვის და როგორც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში.

159. მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და უმცირესობათა მედიის ადეკვატური მისაწვდომობა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირებისათვის მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი კულტურულ ცხოვრებაში. ის ხელს უწყობს ზოგადად საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ეროვნული უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის შესახებ. ამასთან, ეროვნული უმცირესობების შესაძლებლობა, შექმნან და გამოიყენონ საკუთარი მედია თავადვე წარმოადგენს მონაწილეობის ეფექტურ ფორმას, განსაკუთრებით საზოგადოებრივ საქმეებსა და კულტურულ ცხოვრებაში. ამას შეიძლება ასევე ჰქონდეს პირდაპირი და არაპირდაპირი სოციალური და ეკონომიკური შეღავათები იმ პირებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

---

[63] 9(4) მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, მხარეები მიიღებენ ადეკვატურ ზომებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მასმედიისადმი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს და ხელი შეუწყონ ტოლერანტობასა და დაამკვიდრონ კელტურული პლურალიზმი.

მუხლი 10[64]

160. უმცირესობის ენის თავისუფლად გამოყენების უფლება სიტყვიერად და წერილობით, კერძოდ და საჯაროდ, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობებში წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აძლიერებს ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობას. ეს განსაკუთრებით შეეხება ეროვნულ უმცირესობათა იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ცხოვრობენ ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში.[65] მაგალითად, სახელმწიფო მოხელეების სამუშაოზე აყვანის ისეთი პოლიტიკა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს უმცირესობის ენის მცოდნეებს, არის დადებითი გზა სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანოებში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობისა და გაძლიერებისთვის. ანალოგიურად, ეროვნული უმცირესობის ენის გამოყენების შესაძლებლობას ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობებში შეუძლია ხელი შეუწყოს უფრო ეფექტურ კომუნიკაციას ხელისუფლებასთან ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების მიერ. ადგილობრივად არჩეულ ორგანოებში უმცირესობის ენის გამოყენების შესაძლებლობას შეუძლია საშუალება მისცეს ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილ პირებს, რომ უფრო ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამის საპირისპიროდ, მკაცრ ენობრივ მოთხოვნებს შეუძლია სერიოზულად შეუშალოს ხელი ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობას ცხოვრების გარკვეულ სფეროებში, განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასა და საარჩევნო პროცესებში. მაგრამ ამასთანავე არ უნდა იყოს დაკნინებული ოფიციალური ენის ცოდნის მნიშვნელობა, ვინაიდან ესეც ხელს უწყობს ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების ეფექტურ მონაწილეობას.[66]

მუხლები 12, 13 და 14

161. ჩარჩო კონვენციის მე-12, მე-13 და მე-14 მუხლები მოიცავენ ფართო სპექტრის დებულებებს განათლების სფეროში, რომლებიც ვრცლად იქნა

---

[64] 10(2) იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობენ ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით რაოდენობით ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან უმციესობის ენის გამოყენებას ამ პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში.

10(1) მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის აგრეეს, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობს ენა კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად და წერილობით.

[65] 10(2) იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობენ ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით რაოდენობით ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან უმციესობის ენის გამოყენებას ამ პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში.

[66] იხილეთ ასევე ქვემოთ მოცემული შენიშვნები მე-14 მუხლთან დაკავშირებით.

გაანალიზებული საკონსულტაციო კომიტეტის მიერ 2006 წელს მიღებულ კომენტარში განათლების შესახებ.[67]

162. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა მიიღონ ზომები, რათა ხელი შეუწყონ ცოდნას ეროვნული უმცირესობების და ასევე უმრავლესობის კულტურის, ენის, ისტორიის და რელიგიის შესახებ. ამგვარად, მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან[68] ერთად მე-12 მუხლი წევრი სახელწიფოების წინაშე სვამს ამოცანას, რომ ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებისა და კულტურათაშორისი დიალოგის ატმოსფეროს დამკვიდრებას, რაც წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობის წინაპირობას. იმისათვის, რომ ეს ამოცანა შესრულდეს, საჭიროა შესაბამისი სასწავლო და სხვა მასალები იყოს ხელმისაწვდომი, მასწავლებლები იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი და წახალისებული იქნეს გაცვლები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, როგორც ეს ხაზგასმულია მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში. უფრო მეტიც, ამ მუხლის თანახმად საკონსულტაციო კომიტეტი ხშირად იძლეოდა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა განათლების შესახებ კანონმდებლობის მომზადების პროცესში, ისევე, როგორც საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებაში, განსაკუთრებით ისეთებისა, რომლებიც მათ შეეხებათ.

163. ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც კეთდება მე-15 მუხლის ანალიზი, ვინაიდან ის მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ თანაბარი შესაძლებლობები ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირებისთვის განათლების მისაწვდომობის თვალსაზრისით ყველა დონეზე, მათ შორის პროფესიული განათლებისა და ზრდასრული ადამიანების სწავლების სფეროებში.

164. მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები[69], ერთის მხრივ, ადგენენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლებას, ისწავლონ თავისი უმცირესობის ენა, და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ გარკვეულ პირობებში შეეცადონ უზრუნველყონ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობები. ეს მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომ შენარჩუნდეს და განვითარდეს მათი თვითმყოფადობა და კულტურა, რაც ასევე

[67] იხილეთ კომენტარი განათლების შესახებ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის თანახმად, რომელიც მიღებული იქნა საკონსულტაციო კომიტეტის მიერ 2006 წლის 2 მარტს.

[68] იხილეთ 152-ე პუნქტი ზემოთ.

[69] 14(1) მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ნებისმიერი პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება ისწავლოს მისი უმცირესობის ენა.

14(2) იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან მაქსიმალურად უზრინველყონ, რომ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ჰქონდეთ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობანი.

14(3) ამ მუხლის მე-2 პუნქტი განხორციელდება ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

მითითებულია მე-5 მუხლში.[70] მეორეს მხრივ, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ეს უნდა განხორციელდეს ოფიციალური ენის სწავლებისათვის ზიანის მიუყენებლად. ოფიციალური ენის სათანადო დონეზე ცოდნა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მიერ ჭეშმარიტად სასიცოცხლოა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათი მონაწილეობისათვის და საზოგადოების ძირითად ნაწილთან ინტეგრაციისათვის.[71] ამიტომ ჩარჩო კონვენციის ფუძემდებლური, ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც უკვე აღწერილი იქნა ზემოთ 13-15 პუნქტებში, რომლებიც შეეხებოდა კავშირს მე-4, მე-5 და მე-15 მუხლებს შორის, ასევე სრულად არის ასახული მე-14 მუხლში.

165. საკონსულტაციო კომიტეტი ბევრ შემთხვევაში აღნიშნავდა ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობის მნიშვნელობას მე-14 მუხლით დადგენილი უფლებების განხორციელებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც შეეხება უმცირესობათა ენების სწავლების[72] ორგანიზებას, რათა ამ ტიპის განათლებაში გათვალისწინებული იყოს ეროვნული უმცირესობების საჭიროებები.

მუხლი 17 და მუხლი 18[73]

166. ჩარჩო კონვენციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ წევრი სახელმწიფოები არ უნდა ჩაერიონ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში, დაამყარონ და შეინარჩუნონ მშვიდობიანი ურთიერთობები საზღვარგარეთ და კერძოდ მათთან, ვინც მიეკუთვნება იმავე ეროვნულ უმცირესობას. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, შეეძლოს აქტიური წვლილის შეტანა სამოქალაქო საზოგადოებაში ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

---

[70] იხილეთ მე-13 და მე-14 პუნქტები ზემოთ.

[71] იხილეთ ასევე ზემოთ მოცემული შენიშვნები მე-10 მუხლთან დაკავშირებით.

[72] იხილეთ ასევე კომენტარი განათლების შესახებ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის თანახმად, რომელიც მიღებული იქნა საკონსულტაციო კომიტეტის მიერ 2006 წლის 2 მარტს.

[73] 17(1) მხარეები იღებენ ვალდებულებას არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში, დაამყარონ და შეინარჩუნონ მშვიდობიანი ურთიერთობები საზღვარგარეთ იმ პირებთან, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან სხვა სახელმწიფოებში და კერძოდ იმათთან, რომლებთანაც მათ აკავშირებთ საერთო ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური თვითმყოფადობა ან საერთო კულტურული მემკვიდრეობა.

17(2) მხარეები იღებენ ვალდებულებას, არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

18(2) სათანადო შემთხვევაში, მხარეები მიიღებენ ზომებს შესაბამისი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წასახალისებლად.

167. მე-17 მუხლის მსგავსად, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი მოუწოდებს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მიმართ აქტიური მიდგომის ჩამოყალიბებისაკენ, მაგრამ სახელმწიფოთა შორის. საზღვრისპირა თანამშრომლობას შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმეებში და სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.